7434

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
6 ივლისი
1940 წ.
№ 154 (5855)
ფასი 10 კაპ.

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ-ᲤᲠᲐᲜᲒ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეხუთე და მეექვსე „თეთრი წიგნების" მასალები, რომლებიც დღეს „პრავდაში" ქვეყნდება, მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენენ. ეს დოკუმენტები მთელი მსოფლიოს წინაშე ფარდას ხდიან ომის ინგლისელ-ფრანგ ორგანიზატორთა სისხლიან თამაშს. საფრანგეთის გენერლებისა და დიპლომატების მიწერ-მოწერა, მეექვსე „თეთრ წიგნში" გამოქვეყნებული წერილები, მოხსენებები, დეპეშები განსაკუთრებული სიცხადითა და მკაფიობით აშკარავებენ საბჭოთა მკითხველის წინაშე სსრ კავშირზე თავდასხმის მომზადების კონკრეტულ გეგმებს, რომლებიც უკვე დიდი ხნის შემუშავებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების მიერ.

სკანდინავიის ნახევარკუნძულზე, ბალტიისპირა ქვეყნებში, რუმინეთში, ირანსა და თურქეთში — ყველა იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირს ეკვრიან და მისი მოსაზღვრენი არიან, ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები გამალებით ამზადებდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ბაზებსა და კერებს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეექვსე „თეთრ წიგნში" შეტანილი დოკუმენტების გამოქვეყნება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, თუ რამდენად წინდახედულად, გონივრულად და სწორად მოქმედებდა სსრ კავშირის მთავრობა, როდესაც მან, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის, გადასდგა მთელი რიგი მტკიცე ნაბიჯები ჩვენი სამშობლოს ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საზღვრების გასამაგრებლად.

საკმარისია წაიკითხოთ მეექვსე „თეთრი წიგნის" მეორე დოკუმენტი, სადაც მოყვანილია საფრანგეთის არმიის ყოფილი მთავარსარდლის გენერალ გამელენის ჩანაწერი, რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად შორსგანმჭვრეტად აღნიშნავდა ხაზგასმით საბჭოთა მთავრობა — თეთრფინელებთან ომის წინაც და მისი დამთავრების შემდეგაც, — რომ საქმე ეხებოდა ბრძოლას არა მარტო თეთრ-ფინეთთან, არამედ იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯგუფის, პირველ რიგში ინგლისისა და საფრანგეთის გაერთიანებულ ღონისძიებათა გაცამტვერებას.

ინგლის-საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, ამ ქვეყნების გენერალურმა შტაბებმა ყველაფერი მოიმოქმედეს, რომ გადაექციათ ფინეთი საბჭოების ქვეყანაზე თავდასხმის უაღრესად საშიშ კერად, ისინი განუწყვეტლივ აქეზებდნენ ფინეთს და საბოლოო შედეგად ჩააბეს იგი სსრ კავშირთან ომში. ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საომარი მოქმედების დაწყებიდან, აღნიშნულია გენერალ გამელენის ჩანაწერებში, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა გამოამჟღავნეს თავისი მზადყოფნა აღმოეჩინათ ფინეთისათვის სასწრაფო შეიარაღებული დახმარება. 16 იანვრიდან დაწყებული, საფრანგეთის სარდლობა მუშაობდა ჩრდილოეთში შეიარაღებული ინტერვენციის საერთო გეგმაზე. ეს გეგმა ითვალისწინებდა, კერძოდ. მოკავშირეთა ჯარების გადასხმას პეტსამოში. ინგლისელ-ფრანგი იმპერიალისტები სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. მათ მიერ მომზადებული კონფლიქტი ფინეთსა და სსრ კავშირს შორის დამთავრდა თეთრფინელთა არმიისა და მის დასახმარებლად მისული ყველა ძალების განადგურებითა და მოსპობით.

ინგლისისა და საფრანგეთის პრესის მჯღაბნელები პროვოკაციული მიზნებით, თავისი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მოტყუების მიზნით, სულ მუდამ ავრცელებენ ხმებს, თითქოს სსრ კავშირის მიერ თავისი ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საზღვრების უშიშროების განმტკიცებისათვის მიღებული ზომები მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ. ეს ვაჟბატონები სტყუოდნენ და სტყუიან, ასრულებენ რა ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების დაკვეთას, ვინაიდან ისინი იცნობენ და იცნობდნენ სსრ კავშირზე თავდასხმის კონკრეტულ გეგმებს, რომლებსაც ეს შტაბები ამზადებდნენ. დოკუმენტები რომლებიც დღეს „პრავდაში" ქვეყნდება, ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენებენ, — ვის გეგმებთან დაკავშირებით იღებდა და იღებს საბჭოთა კავშირი უაღრესად ენერგიულ ზომებს თავისი საზღვრების გასამაგრებლად. ახლა ბრმებიც ხედავენ, რომ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედება მიმართული იყო და მიმართულია ომის ინგლისელ-ფრანგ გამჩაღებელთა გეგმების წინააღმდეგ, ისახავს ერთ მიზანს — ამ და ამის მსგავსი აგრესიული გეგმების ჩაფუშვას.

მეექვსე „თეთრი წიგნის" დოკუმენტებს შორის, მეტი რომ არ ვთქვათ გაკვირვებას იწვევენ ის მასალები, რომლებიც ცხადჰყოფენ ჩვენი სამხრეთი მეზობლების—ირანისა და თურქეთის ფრიად უცნაურ პოზიციას. დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან სჩანს, რომ საფრანგეთის ელჩს ანკარაში მასილიის 1940 წლის 14 მარტს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სარაჯოღლუსთან საუბარი ჰქონია ბაქოსა და ბათუმის ბომბარდირების შესაძლებლობის თაობაზე, ამასთან მასილიი ატყობინებს თავის მთავრობას, რომ ამ ღონისძიებების (ბაქოსა და ბათუმის ბომბარდირების!) რეალიზაციაში თურქეთის მთავრობის მხრით არავითარი სიძნელე მოსალოდნელი არ არისო. იმავე მეექვსე „თეთრი წიგნის" დოკუმენტში № 1 გამოქვეყნებულია საკმაოდ ცნობილი გენერლის ვეიგანის დეპეშა გენერალ გამელენისადმი, სადაც სავსებით ცხადად ლაპარაკია ინგლისელებისა და ფრანგების მზადებაზე ბაქოსა და ბათუმის ბომბარდირებისათვის. ბაზებად ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციისათვის, როგორც ამ დეპეშიდან სჩანს, გათვალისწინებული იყო (თურქეთის სარდლობის ნებართვით) დიარბექირის, არზრუმის, ყარსის აეროდრომები, ესე-იგი თურქეთის აეროდრომები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებობს თავდაუსხმელობის პაქტი, თურქეთის ხელისუფალთა, თურქეთის სარდლობის პოზიცია არ შეიძლება მეტისმეტად უცნაურად არ ჩაითვალოს.

კავკასიის ქალაქებზე, და კერძოდ ბაქოზე, თავდასხმისათვის ინგლის-საფრანგეთის გენერლები ითვალისწინებდნენ გამოეყენებინათ ირანი, რომელთანაც საბჭოთა კავშირს, როგორც ცნობილია, აგრეთვე დადებული აქვს თავდაუსხმელობის პაქტი და რომელთანაც მას კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს. საფრანგეთის გენერალ გამელენის 1940 წლის 16 მარტით დათარიღებულ ცნობაში, სადაც იგი არჩევს ახალი ფრონტების შექმნის საკითხს, ეს რიხიანი მეომარი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნით ირანმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სახმელეთო ოპერაციებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამრიგად, ეს დოკუმენტებიც, რომლებიც ეხება ჩვენი სამხრეთი მეზობლების — ირანისა და თურქეთის — ორაზროვან პოზიციას, ერთხელ კიდევ ადასტურებენ, თუ რამდენად მართალი იყო სსრ კავშირი, როცა ამაგრებდა თავის პოზიციებს ყველა განაპირა მხარეში, მათ შორის ბაქოს და ბათუმის რაიონებში.

რაც შეეხება მეხუთე „თეთრ წიგნს", იგი ამდენადვე დიდ ინტერესს წარმოადგენს. მეხუთე „თეთრი წიგნის" მასალები და დოკუმენტები ახალ შუქს ჰფენენ იმას, თუ ვის მიუძღვის ბრალი ამჟამად გაჩაღებულ მეორე იმპერიალისტურ ომში, ვინ ამზადებდა მას დიდი ხნიდან. კერძოდ, აშკარავდება სისტემა მუქარისა, რომლითაც მოქმედებდნენ მეორე იმპერიალისტური ომის გამჩაღებლები, მის წამომწყებნი და ორგანიზატორები — ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები, რათა ომში ჩაეთრიათ მცირე ნეიტრალური ქვეყნები. ჰოლანდია და ბელგია, როგორც ცნობილია, მიუხედავად საომარი მოქმედებისა ინგლის-საფრანგეთის ბლოკსა და გერმანიას შორის, რაც მათი ტერიტორიების ახლოს სწარმოებდა, აპრილამდე ფორმალურად ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს. მაგრამ მეექვსე „თეთრ წიგნში" გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ, ომის პირველი დღეებიდანვე, გასული წლის სექტემბრიდან დაწყებული, ინგლისი და საფრანგეთი აკეთებდნენ ყველაფერს იმისათვის, რომ ეკონომიური და დიპლომატიური ზეგავლენის გზით, პირდაპირი მუქარის გზით ჩაეთრიათ ჰოლანდია და ბელგია იმპერიალისტურ ომში. ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიებზე გერმანიის ჯარის შესვლამ, როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებით მტკიცდება, მხოლოდ დაასწრო იმას, რომ ეს ქვეყნები გერმანიაზე ინგლის-საფრანგეთის ჯარების თავდასხმის ბაზად გამოეყენებინათ.

მეხუთე და მეექვსე „თეთრი წიგნების" გამოქვეყნებული დოკუმენტები ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით ადასტურებენ და მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ომის ნამდვილ ორგანიზატორებს. მათი მიზეზით დედამიწის ხალხები ჩათრეული არიან უაღრესად სისხლისმღვრელ ხოცვა-ჟლეტაში. და მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ დროულად გამოიცნო ომის გამჩაღებელთა საზიზღარი ზრახვები და თავიდან აგვაცილა ჩვენს სამშობლოზე თავდასხმა, რომელსაც ინგლისელები და ფრანგები ამზადებდნენ. ვამტკიცებთ რა ჩვენი სამშობლოს თავდაცვითს და სამეურნეო ძლიერებას კვლავაც გვახსოვდეს, რომ „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ" და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს...". (სტალინი).

„პრავდის" მოწინავე 5/VII.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ტ. Დ. ᲚᲘᲡᲔᲜᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

მოსკოვი, 4 ივლისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე თავისი შრომების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო. დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გაზაფხულზე დარგული კარტოფილისაგან მიღებული სათესლე მასალის ცდებს, რაც უკანასკნელ დროს ჩატარდა. გაზაფხულის ჩვეულებრივ ვადებში დარგული კარტოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ზონაშიაც კი გაცილებით უფრო უკეთ ხარობს, ვიდრე გაზაფხულის სათესლე მასალისაგან მიღებული კარტოფილი. კერძოდ, ზაფხულში დარგული სათესლე მასალისაგან მიღებული ზოგიერთი საადრიო ჯიშის (მაგალითად, „საადრიო ვარდისფერი") მოსავლიანობა ერთიორად მეტია.

აკადემიკოსმა ლისენკომ აგრეთვე განაცხადა, რომ გამონახულია მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ 2-3 წლის განმავლობაში მცენარეთა სათანადო აღზრდის გზით შევქმნათ ყინვისგამძლე ჯიშები ხორბლის, ქერისა და სხვა პურეულის ისეთი ჯიშებისაგან, რომლებიც ზამთარს ვერ უძლებენ.

— მთავრობის დავალება ხორბლისა და ჭვავის ისეთი საშემოდგომო ჯიშების შექმნის შესახებ, რომლებიც შეგუებული იქნებიან ციმბირის უთოვლო ველიანი ზონის სუსხიან პირობებთან, — ამბობს აკადემიკოსი ლისენკო, — სავსებით იქნება შესრულებული. უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე ციმბირისა და ზავოლჟიეს მთელ რიგ ადგილებში დაითესება საშემოდგომო ხორბლის ახალი ფორმები.

აკადემიკოს ლისენკოს განცხადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მნიშვნელოვნად გააფართოვოს მცენარეთა გენეტიკის ლაბორატორია, რომელსაც აკადემიკოსი ლისენკო ხელმძღვანელობს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კიშინიოვი, 3 ივლისი (საკდესის სპეცკორი). ბესარაბიის ქალაქების ქუჩებში სრული წესრიგია. წესრიგს იცავენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგენილი შეიარაღებული რაზმები. ისინივე იცავენ საზოგადოებრივსა და სახელმწიფო შენობებს. სხვადასხვა პროფესიის მუშაკთაგან შექმნილი კომიტეტები აქტიურად მუშაობენ იმისათვის, რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს დასახლებული პუნქტების ცხოვრება, კიშინიოვში შეუფერხებლად მუშაობს ელექტროსადგური, წყალსადენი, ტრამვაი, ვაჭრობენ მაღაზიები, ღიაა კაფეები. ეწყობა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი ბესარაბიის ქალაქებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ქალაქის წყალსადენის ზეინკალი ნიკოლაუ მორიგ ვახტზე დადგა და თავისი ცვლის ამხანაგებს შემდეგი მოწოდებით მიჰმართა: „ვიმუშაოთ ისე, როგორც სტახანოველები მუშაობენ, ვიმუშაოთ ისე, რომ ჰყვაოდეს საბჭოთა ბესარაბია!"

ეს გულწრფელი სურვილი—იმუშაონ შეუსვენებლივ, მთელი თავიანთი ძალღონე მოანდომონ სამშობლოს კეთილდღეობას, დამახასიათებელია მუშებისათვისაც და ინტელიგენციისათვისაც. ყველა სახელწოდებისა და პროფესიის მშრომელს ერთი სურვილი ასულდგმულებს: მუშაობა, მუშაობა! ისინი თხოულობენ გაჩაღებული იქნას სამრეწველო საწარმოთა მუშაობა, გაფართოვდეს საავადმყოფოებისა და ამბულატორიული პუნქტების ქსელი, გაიხსნას ახალი სკოლები. მათ იციან, რომ ახლა ყველასათვის მოიძებნება სასარგებლო, სამშობლოსათვის საჭირო საქმე. ეს რწმენა ფრთებს ასხამს ხალხს.

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

სოფელი იასკი (ოდესის ოლქი), 1 ივლისი (საკდესი). 20 ბესარაბიელი გლეხი სოფელ კროკმაზიდან და ტუდაროვოდან ნავებით გადმოვიდა დნეპრზე და სტუმრად ეწვია არტელ „14 რიჩია ქოვტნიას" კოლმეურნეებს. ენა ვერ აღწერს ამ შეხვედრის მთელ სიხარულს. შეძახილები: „ვაშ", „დიდება წითელ არმიას", „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას **სტალინს**", ხელის ჩამორთმევა, ერთმანეთის ხვევნა...

გაცხოველებული საუბარი გაჩაღდა. სტუმრები ხარბად ისმენენ კოლმეურნეთა თვითეულ სიტყვას მათი ბედნიერი, შეძლებული ცხოვრების შესახებ, საკოლმეურნეო შრომის სიხარულის შესახებ, უხვი მოსავლის შესახებ, რომელიც მათ მინდვრებში მწიფდება.

— ჩვენ კი,—ამბობენ სტუმრები,—ჩვენი ცხოვრების შესახებ სალაპარაკო არაფერი გვაქვს. მთელი ჩვენი სიმდიდრე დაკონკილი ტანისამოსი და ქოხებში გამეფებული გაჭირვებაა. მაგრამ ახლა ჩვენც ვიცხოვრებთ, როგორც ნამდვილი ადამიანები.

სოფელ კროკმაზში უკვე შექმნილია დროებითი მმართველობა. დაიწყო ახალი, თავისუფალი ცხოვრება.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲖᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ

მოსკოვი, 4 ივლისი (საკდესი). სსრ კავშირის პროკურატურაში შემოდის ცნობები წარმოების დეზორგანიზატორების — გამცდენების და ფრენიების გასამართლების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, სახალხო სასამართლოები შრომის დისციპლინის ჩამშლელთ უსჯიან დაპატიმრებას, შრომა-გამასწორებელ სამუშაოს სამსახურის ადგილის მიხედვით.

ქ. ბობრუისკის (მოგილიოვის ოლქი) სახალხო სასამართლომ ოთხ-ოთხი თვით დაპატიმრება მიუსაჯა ხალტურინის სახელობის ავეჯის ფაბრიკის მუშებს—კ. ი. ზუბოვიჩსა და ტ. ს. ბიზუნკოვს. ორივემ თვითნებურად მიატოვა მუშაობა. ბიზუნკოვი და ზუბოვიჩი სამუშაოს გაცდენისათვის წინათაც იყვნენ დათხოვნილნი სხვა საწარმოებიდან. მსჯავრდადებულნი დაუყოვნებლივ იქნენ დაპატიმრებულნი.

მოსკოვში პერვომაისკის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლომ განიხილა ბოროტი გამცდენის, ქარხანა „ელექტროპროვოდის" ზეინკლის — ჩერკასოვის საქმე. 1940 წელს ჩერკასოვმა მოასწრო სამუშაოს გამოცვლა 5 საწარმოში, ამასთან სამი საწარმოდან დათხოვნილ იქნა გაცდენისათვის და მუშაობაზე უარის თქმისათვის. „ელექტროპროვოდში" სამი დღე დაჰყო, ხოლო შემდეგ 27 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე. სახალხო სასამართლომ ჩერკასოვს მიუსაჯა 6 თვის იძულებითი მუშაობა და ხელფასის 25 პროცენტის დაკავება.

ლენინგრადში თევზსაბოლველი ქარხნის მუშა ევსეევს სამუშაოს გაცდენისათვის მიესაჯა 6 თვის იძულებითი მუშაობა ხელფასის 25 პროცენტის გამოქვითვით.

ცნობები წარმოების დეზორგანიზატორებისათვის სახალხო სასამართლოთა მიერ განაჩენის გამოტანის შესახებ საბჭოთა კავშირის სხვა ოლქებიდანაც მოდის.

გამცდენთა საქმეების უმრავლესობას სახალხო სასამართლოები იხილავენ საწარმოებსა და კლუბებში—მუშა - მოსამსახურეთა დასწრებით. სასამართლოთა განაჩენებს მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲜᲚᲘᲗᲒᲝᲣᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ლონდონი, 4 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთ „ტაიმსს" სიმლიდან ატყობინებენ, პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინდოეთის მეფის მოადგილე ლინლითგოუსა და განდის შორის წარმოებული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

როგორც ინდოეთის ნაციონალურ კონგრესთან დაკავშირებული გაზეთების ცნობებიდან სჩანს, კონგრესი დაჟინებით მოითხოვს ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას.

მეფის მოადგილემ მიიწვია სხვა ლიდერები და სთხოვა შეხვდნენ მას.

ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ბუდაპეშტი, 4 ივლისი (საკდესი). ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მრავალი ბესარაბიელი, რომელიც რუმინეთის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობდა, ახლა სამშობლოსაკენ გაეშურა. იასიდან ბესარაბიისაკენ ყოველდღე გადის სამი მატარებელი.

ᲞᲣᲞᲔᲘᲙᲘᲡᲘ — ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

კაუნასი, 4 ივლისი (საკდესი). როგორც ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ლიტვის რესპუბლიკის გზათა მინისტრად დაინიშნა **სტასის პუპეიკისი.**

○

ს. პუპეიკისი დაიბადა 1905 წელს. პეტროგრადში ლიტვური სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა პუტილოვის კომერციულ სასწავლებელში. 1920 წლიდან სახალხო მასწავლებლად მუშაობდა ზარასკის მაზრაში (ლიტვა). იგი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. სმეტონას რეჟიმის წინააღმდეგ გაბედული გამოსვლისათვის რეპრესიებს განიცდიდა.

ᲕᲐᲜᲐᲒᲡᲘ — ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

რიგა, 3 ივლისი (საკდესი). ლატვიის რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა აგრონომი **ი. ვანაგსი.**

○

მიწათმოქმედების მინისტრი **ვანაგსი** დაიბადა 1907 წელს. დამთავრა რა 1927 წელს ელგავის გიმნაზია, ვანაგსი შევიდა ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც მან 1936 წელს დაამთავრა და მიიღო აგრონომის სახელწოდება. უკანასკნელ წლებში მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც მეფრინველეობის კათედრის ასისტენტი. იგი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა.

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

რიგა, 4 ივლისი (საკდესი). საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრმა გააუქმა ძველი მთავრობის განკარგულება, რომლითაც აკრძალული იყო 97 სახელწოდების წიგნის გავრცელება. აკრძალულ წიგნებს შორის იყო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოები, ლატვიის პროგრესიული ინტელიგენციის წიგნები.

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

Მ. Ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

მოსკოვი, 4 ივლისი (საკდესი). დღეს დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კამათში გამოვიდა ამხ. მ. ი. კალინინი, რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღე და ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადი ჩატარდეს 1940 წელს წითელ მოედანზე, 18 ივლისის ნაცვლად 21 ივლისს (კვირას). (საკდესი).

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕ „Ნ—2"-ᲘᲡ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ

დღეს, 5 ივლისს, 3 საათსა და 7 წუთზე მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთერთ აეროდრომიდან გაფრინდა ორმოტორიანი თვითმფრინავი „ნ—2".

თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურია კაპიტანი მარიამ პეტრეს-ასული ნესტერენკო, მეორე მფრინავი — კაპიტანი მარიამ გრიგოლის-ასული მიხალევა, შტურმანი — უფროსი ლეიტენანტი ნინა ივანეს-ასული როსაკოვა.

თვითმფრინავის გაფრენის მარშრუტი ასეთია: მოსკოვი—სვერდლოვსკი—სევასტოპოლი—მოსკოვი.

უწყვეტი გაფრენის საერთო მანძილი 5 ათას კილომეტრს აღემატება.

მფრინავები თავიანთ ამოცანად ისახავენ მიაღწიონ 5.000 კილომეტრ მანძილზე სასწრაფო გაფრენის საუკეთესო საერთაშორისო შედეგებს და დაამყარონ შეკრული უწყვეტი შორეული ფრენის რეკორდი.

სტარტს დაესწრნენ სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ი. შახურინი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი ამხ. ი. ტ. პერესიპკინი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. პ. ვ. რიჩაგოვი, სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისრები, საავიაციო მრეწველობის მუშაკები და ჟურნალისტები. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘᲡ Ბ-Ნ ᲓᲘᲐᲛᲐᲜᲢᲝᲞᲣᲚᲝᲡᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

4 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა საბერძნეთის ახლადდანიშნული საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი **დიამანტოპულოსი.**

კიევის ვაგზალზე ბ-ნ დიამანტოპულოსს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი** და საბერძნეთის მისიის შემადგენლობა დესპანის **ბ-ნ მარკეტის** მეთაურობით.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

კიევი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობა დაიწყო უმაღლეს სასწავლებელთათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებელთა გადამზადების ორთვიანმა კურსებმა. კურსების პროგრამა ნავარაუდევია 300 სასწავლო საათისათვის. ლექციებს კითხულობენ კიევის საუკეთესო პროფესორები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

მოსკოვი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო ამ დღეებში გამოსცემს სსრ კავშირის ახალ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რუკას. ახალ რუკაზე ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა ნაჩვენებია სსრ კავშირის ახალ საზღვრებში, რომლებიც შეიცავენ აგრეთვე უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებს და კარელიის ყელს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ი. კ. სედინი** დანიშნა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ა. ა. იშკოვი** დანიშნა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **პ. გ. ნესტერენკო** დანიშნა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ (კადრების დარგში). (საკდესი).

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

145.989.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ 4 ᲓᲚᲔᲡ

შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობებით 5 ივლისს, ღამის 12 საათისათვის სესხზე ხელის მოწერამ საქართველოში 145.989.000 მანეთს მიაღწია. აქედან 121.524.000 მანეთზე ხელი მოაწერეს მუშა-მოსამსახურეებმა, ხოლო 24.465.000 მანეთი სოფლად გავრცელდა.

სესხზე ხელის მოწერა განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს თბილისში. პირველ ოთხ დღეს დედაქალაქში სესხი გავრცელდა 54.395.445 მანეთის რაოდენობით, რაც 9.195.445 მანეთით აღემატება გასული წლის ხელის მოწერას.

ლენინის რაიონში 5 ივლისს, საღამოს 11 საათისთვის სესხი გავრცელებული იყო 6.398.000 მანეთის რაოდენობით, მოლოტოვის რაიონში — 5.046.755 მანეთის, 26 კომისრის—5.825.800 მან., ბერიას—13.534.670 მან., კიროვის—6.916.930 მან., სტალინის—10.571.026 მან., ორჯონიკიძის რაიონში—6.102.265 მანეთის რაოდენობით.

მიუხედავად ახალი სესხის საერთოდ დიდი წარმატებით გავრცელებისა, საქართველოს ზოგიერთი რაიონი ამ მხრივ ჩამორჩა. ასეთია, მაგალითად, ყაზბეგისა და ქვემო-სვანეთის რაიონები, სადაც ხელის მოწერა არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს, განსაკუთრებით სოფლად. ამ რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა.

ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠ ᲐᲛᲮ. Კ. Ს. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მესამე ხუთწლედის მესამე წლის გამოშვების სესხზე ხელისმოწერის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. კ. ს. ციმაკურიძემ განაცხადა:

— ორდენოსანი საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას. ჩვენს რესპუბლიკაში სესხი ვრცელდება ისეთი წარმატებით, როგორც არასოდეს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თუ გასულ წელს სესხზე ხელის მოწერა, რომელიც 126.900.000 მანეთს შეადგენდა, 20 დღეს გაგრძელდა, წელს ხელისმოწერის პირველი ოთხი დღის განმავლობაში — 5 ივლისისათვის სესხი უკვე გავრცელებულია 145.989.000 მანეთის რაოდენობით.

მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გამოშვების სესხის უდიდესი წარმატებით გავრცელებაში დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ თუ გასულ წელს ხელისმოწერის პირველ დღეს სესხი გავრცელებული იყო 45.000.000 მანეთის რაოდენობით, წელს გავრცელდა — 75.000.000 მანეთისა, მეორე დღის განმავლობაში გასულ წელს გავრცელებული 28.200.000 მანეთის ნაცვლად, წელს გავრცელდა 50.000.000 მანეთისა.

სესხზე ხელის მოწერის ასეთი წარმატება აიხსნება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შეძლებულობითა და მაღალი პოლიტიკური შეგნებით; აგრეთვე იმ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობით, რომელიც ჩაატარეს და ატარებენ პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები.

5 ივლისს, საღამოს 12 საათისათვის თბილისის მშრომელებს ხელი მოწერილი ჰქონდათ 54.395.445 მანეთის სესხზე.

ასევე წარმატებით ვრცელდება სესხი რაიონებში. სესხის გავრცელებაში განსაკუთრებით დიდ წარმატებას იჩენენ ალბულაღის, ასპინძის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ქარელის, ქუთაისის, ლაგოდეხის, მცხეთის, ხაშურის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის, წყალტუბოს რაიონები და ქალაქი ქუთაისი.

უნდა აღინიშნოს კოლმეურნეთა შეგნებულობის ზრდა, ის დიდი ენტუზიაზმი, რომლითაც ისინი ხელს აწერენ სესხზე. თუ გასულ წელს პირველი ორი დღის განმავლობაში ხელისმოწერა სოფლად 6.300.000 მანეთს შეადგენდა, წელს 4 დღის განმავლობაში სესხზე ხელის მოწერამ 24 მილიონ მანეთს გადააჭარბა. აქედან დიდი ნაწილი რეალიზებულია ვადამდე. კოლმეურნეთა უმეტესობას ნაღდი ფული შეაქვს.

ამ წარმატებებით პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ, არ უნდა შეანელონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ დარჩეს არცერთი მშრომელი, რომელიც სესხზე ხელის მომწერი არ იქნება.

708.406.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲡᲔᲡᲮᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

მესამე ხუთწლედის სესხზე (მესამე წლის გამოშვება) ხელმოწერის საერთო თანხა მოსკოვში 4 ივლისს 20 საათისათვის შეადგენდა 708.406.000 მანეთს, რაც 18.888.000 მანეთით აღემატება გასული წლის სესხზე ხელმოწერის მთელ თანხას. ხელმოწერა გრძელდება (საკდესი).

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲛᲐ 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲜᲐᲦᲓ ᲤᲣᲚᲐᲓ

მოსკოვი, 4 ივლისი (საკდესი). სასოფლო ადგილებში მესამე ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვება) სესხის რეალიზაციის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ხელმოწერის შეხამება შენატანების აკრეფასთან. ბევრ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში კოლმეურნეებს ხელმოწერის დროს მთლიანად შეაქვთ ობლიგაციების ღირებულება.

კოლმეურნეთა ეს ინიციატივა განსაკუთრებით ფართოდ მჟღავნდება უკრაინაში, სადაც ახალ სესხზე ხელმოწერილი თანხა მრავალ ოლქში მნიშვნელოვან წილად უკვე ნაღდად არის გადახდილი.

ოდესის ოლქის შემნახველ სალაროებში კოლმეურნეებისაგან შემოვიდა ახალი სესხის ობლიგაციების გადასახდელად 7,2 მილიონი მანეთი, კამენეც-პოდოლსკის ოლქში — 4,4 მილიონი მანეთი, კიროვოგრადის ოლქში—4,3 მილიონი მანეთი და სხვ.

2 ივლისს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეებმა სესხზე ხელმოწერის ანგარიშში ნაღდ ფულად შეიტანეს 50 მილიონ მანეთზე მეტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ

თბილისის რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა. 3 ივლისის დილისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 1.047.000 მანეთს მიაღწია, მაშინ, როდესაც გასულ წელს იმავე პერიოდისათვის სესხზე ხელი მოწერილი იყო მხოლოდ 336 ათასი მანეთის რაოდენობით.

ავჭალის მუშის ქარხანაში 252 კაცმა ხელი მოაწერა 56.220 მანეთის რაოდენობით, რაც გასული წლის სესხზე ჩატარებული ხელმოწერის მთელ თანხას ერთიორად და მეტად სჭარბობს.

სესხზე ხელმოწერა განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს სოფლად. კოლმეურნეები გასულ წელთან შედარებით 3-4-ჯერ მეტი თანხით აწერენ ხელს ახალ სესხს. (საქდესი).

მცხეთა 3 ივლისი (საქდესი). მცხეთის რაიონის მუშა-მოსამსახურენი და კოლმეურნეები ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს. რაიაღმასკომში, რაიმიწგანში, თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში, შემნახველ სალაროში, განათლების განყოფილებაში და სხვა რაიონულ დაწესებულებებში სესხზე ხელმოწერა უკვე დამთავრებულია.

ონი, 3 ივლისი (საქდესი). ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგების ჩატარებისთანავე დაიწყო ახალ სესხზე მასობრივი ხელმოწერა ონის რაიონში. სტამბისა და რაიონული გაზეთის „სოციალისტური მშენებლობის" მუშაკებმა სესხს ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ებრაელთა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 3 კვირის შემოსავალი. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

აბაშა, 3 ივლისი (საქდესი). ახალ სესხზე ხელმოწერის პირველი დღის საღამოს 11 საათისათვის 994 მუშამ, კოლმეურნემ და მოსამსახურემ ხელი მოაწერა სესხს 280 ათასი მანეთის რაოდენობით. გასულ წელს კი პირველ დღეს სესხზე ჩატარებული ხელმოწერის თანხა 146 ათას მანეთს უდრიდა. ახალ სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲤᲣᲗᲐᲛᲓᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში გაიშალა ახალი მოსავლის მარცვლეულის დამზადება. ასეული ათასობით ფუთი ხორბალი და ქერია დამზადებული შუა აზიის რესპუბლიკებში, ამიერკავკასიასა, ყაზახეთსა, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. ყირიმის ასსრ, ორჯონიკიძის და კრასნოდარის მხარეების, დაღისტნისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ კოლმეურნეობებმა სახელმწიფო ბეღლებში მიიტანეს პირველი ათასი ფუთები შერჩეული მარცვალი. 1 ივლისისათვის სულ დამზადებულია 943 ათასი ფუთი ახალი მოსავლის პური. (საკდესი).

ᲛᲢᲡ-ᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

მოსკოვი. ცენტრის მტს-ების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და მისი ძირეული ორგანოები მოსავლის აღების კამპანიის დასაწყისისათვის ტრაქტორისტთა და კომბაინერთა ბრიგადებში ჰქმნიან 25 ათასზე მეტ ბიბლიოთეკას. მტს-ების იმ მუშებისათვის, რომლებიც მოსავლის აღებაზე მუშაობენ, მოეწყობა 5 ათასი კონცერტი, მრავალი მოხსენება, ლექცია, კინოსეანსი და სხვ. სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირები და კოლმეურნეობანი 1.200 ავტომანქანას იძლევიან, რომლებიც საქონელსა და პროდუქტებს პირდაპირ მინდორში მიიტანენ. ყველა ბრიგადას მიეცემა პატარა აფთიაქი.

პარტიული ცხოვრება

მაღაროს კომუნისტები—თავდაცვითი მუშაობის მოწინავენი

(ტყიბული „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლენინის სახელობის მაღაროში ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ მაღარო წარმოადგენდეს ნამდვილ თავდაცვითს ციხე-სიმაგრეს. მაღაროს კომუნისტები თავდაცვითი მუშაობის მოწინავენი არიან. მაღაროს პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი—ირ. გორგიძე) ყურადღების ცენტრში აყენებს თავდაცვითს მუშაობას და ეხმარება ამ მხრივ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციას.

1939 წელს ჰაირწინაღების ხმარება შეისწავლა 475 კაცმა. მოეწყო ნიღბებით 6 კილომეტრზე გადარბენა, რომელიც წარმატებით ჩატარდა. გადარბენის არცერთ მონაწილეს არ ჩამოუხსნია განკარგულებამდე ჰაირწინაღები. ჰაირწინაღების ხმარებას ამჟამად მაღაროში 200-ზე მეტი მაღაროელი სწავლობს. კარგად მუშაობენ ჰაირწინაღებით შომაცადინე წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ თავდაცვის ინსტრუქტორები მარგალიტა ტყავაძე, ს. ცირეკიძე, გ. ობოლაძე და სხვები.

მაღაროში განსაკუთრებით კარგად არის მოწყობილი ვოროშილოვისებური სროლის საქმე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით უნდა მოემზადებიათ 41 ვოროშილოველი მსროლელი, ფაქტიურად მოამზადეს პირველი და მეორე საფეხურის ნიშნოსნები. 51 მაღაროელმა ნორმები ფრიადზე და კარგი ნიშნებით ჩააბარა. ამჟამად სისტემატურად მეცადინეობს მაღაროელების ვოროშილოვისებურ მსროლელთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს შევებული წითელ არმიელი კომუნისტი სნაიპერი ლ. კბილაძე. ამ წრეში ქვანახშირის ფრონტზე სტახანოვურად მებრძოლი კომუნისტები დ. ფერაძე, დ. სულამანიძე, კ. დიაკონიძე, გრ. სირაძე, ნ. ჯაიანი და სხვები იძლევიან ვოროშილოვისებური სროლის საუკეთესო მაგალითებს.

არის ზოგი ნაკლოვანებანიც. მაგალითად, მაღაროში არა აქვთ საკმაო რაოდენობის აირწინაღები, მოუწყობელია სასროლო ტირი. სამეცადინო საათებს აცდენენ ინსტრუქტორები: ლ. ფანჯარაძე, ს. ბერიკაშვილი, პ. გელაძე, ს. მურადაშვილი და სხვები.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

დ. საბელაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: ქალაქ ქუთაისის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მდგომარეობა და ქუთაისის საქალაქო მეურნეობის 1939-1940 წლების ხუთი თვის მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ნარსიას მოხსენება. მომხსენებელმა პირველადი პარტორგანიზაციების ცხოვრებიდან მოყვანილი კონკრეტული მაგალითებით უჩვენა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა გასწია პარტიული მეურნეობის მოწესრიგების დარგში, მაგრამ მიუხედავად ამისა ცალკეულ პირველადს პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ გრძელდება ზერელე დამოკიდებულება პარტიული მუშაობის ამ საპასუხისმგებლო უბნისადმი.

ამხ. ნარსიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ე. გვასალიამ, გ. ავალიანმა, ქ. თედორაძემ, მ. ელიაშვილმა, ნ. გაფრინდაშვილმა, ს. აბულაძემ და სხვ., სულ 18 კაცმა.

ქუთაისის საქალაქო მეურნეობის 1939-1940 წლ. ხუთი თვის მუშაობის შედეგებისა და მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ჯინჭარაძე. ამ საკითხის გამო პლენუმზე გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ბ. ლომიძემ, ს. გიორგაძემ, ო. რევიშვილმა, ლ. ჭელიძემ, ლ. მელაძემ, ნ. კიკაჩეიშვილმა და სხვ., სულ 15 კაცმა.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუციები.

გ. ყურაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1940 წელს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მორიგი გაწვევისათვის მზადებისა და ქ. სტალინირის პედინსტიტუტის პირველადს პარტორგანიზაციაში საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ვალიევი, რომელმაც წარმატებებთან ერთად აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი, განსაკუთრებით „მშო“ I და II საფეხურის ნიშნებზე ნორმების ჩაბარების საქმეში.

ამხ. ვალიევის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. პ. იურახნომ, რ. ბესტავაშვილმა, ნ. თედეევმა, ვ. კოზაევმა, ფ. გასიევამ, ნ. შავლოხოვამ, ა. ქოქოევმა, ს. თედეევმა, კ. ტრაპაიძემ და სხვ.

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა სტალინირის პედინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის ამხ. ქ. პლიევას მოხსენება.

პლიევას მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ა. კასაბიევმა (საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში), ა. ნალბადოვამ, ნ. ჯიოევამ, ვ. გაბაევამ, გ. ხუხაშვილმა, ა. ქელიხსაევმა, დ. სანაკოევმა და სხვ. აღნიშნეს პარტბიუროს სუსტი მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან.

დასასრულ პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთოსეთის საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ფ. ინწკირველი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტი. კაბინეტი პარტიის ისტორიაში ინდივიდუალური მეცადინეობისათვის.

საქდესის ფოტოქრონიკა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საბჭოთა ბესარაბიაში

კიშინიოვი, 3 ივლისი (საქდესის სპეცკორი). ამ დღეებში განთავისუფლებულ ბესარაბიაში ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ლუკიანჩიკოვი. იგი გაეცნო, თუ რა მდგომარეობაშია სამკურნალო დაწესებულებები მხარეში, და განუცხადა საქდესის კორესპონდენტს:

— რუმინეთის მიერ ოკუპირებულ ბესარაბიაში მოსახლეობის დიდი უმეტესობის ჯანმრთელობისათვის არავის გამოუჩენია რაიმე ზრუნვა. მკურნალობის სისტემა რაიონულ საავადმყოფოებშიც კი ფასიანი იყო, საექიმო დახმარებისათვის მაღალი ტარიფი არსებობდა, რაც მუშებსა და გლეხებს არსებითად უსპობდა იმის საშუალებას, რომ სამედიცინო მუშაკებისა და საავადმყოფოების მომსახურებით ესარგებლნათ.

კიშინიოვის საავადმყოფოში ჩვენ ვნახეთ ავადმყოფი მუშა ბერკოვეცი. მას ფეხი აქვს მოტეხილი. 10 დღის განმავლობაში არავისაც არ მოსვლია აზრად სურათი გადაეღოთ რენტგენით. ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ მას არ ამოაჩნდებოდა სურათის გადასაღებად საჭირო ფული. ქალაქ ბენდერის საავადმყოფოში ავადმყოფებს არა სწერდნენ საავადმყოფოდან, სანამ ისინი არ გადაიხდიდნენ მკურნალობის ღირებულებას.

ექიმები და სხვა სამედიცინო მუშაკები მეტად მძიმე პირობებში იყვნენ ჩაყენებული. სახაზინო საავადმყოფოთა შეზღუდული ქსელი 20 პროცენტითაც კი ვერ უზრუნველჰყოფდა სახელმწიფო სამსახურით ექიმებს. ექიმების დიდი უმეტესობა იძულებული იყო კერძო პრაქტიკით ერჩინა თავი, ხოლო ახალგაზრდები, რომელთაც ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდათ, იძულებული იყვნენ მუქთად ემუშავნათ, როგორც მესტაჟეებს. ხანდახან ექიმების, ფერშლების, სამედიცინო დების ეს მუქთი მუშაობა რამდენიმე წელს გრძელდებოდა.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განშტოებული ქსელის მოსაწყობად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. გაუქმებულია გადასახადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის. იქმნება პირველი პოლიკლინიკები, სდგება ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები. უახლოეს კვირეებში მარტო კიშინიოვში 5 პოლიკლინიკა გაიხსნება. პირველი მათგანი დღეს იწყებს მუშაობას. პოლიკლინიკებში სამუშაო მიეცემა 100 უმუშევარ ექიმს. გარდა ამისა კიშინიოვში იხსნება ბავშვთა 3 კონსულტაცია, რძის რამდენიმე სამზარეულო, ვენეროლოგიური და ტუბერკულოზის დისპანსერები, სასკოლო პოლიკლინიკა და სისხლის გადასხმის სადგური. პოლიკლინიკასთან ეწყობა ავადმყოფების მომსახურება ბინაზე. განზრახულია სასწრაფო დახმარების სადგურის შექმნა.

სოფლად არსებულ სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის გაცნობის შემდეგ დასახულ იქნება ღონისძიებანი იმისათვის, რომ ძირფესვიანად გაუმჯობესდეს გლეხობისათვის საექიმო დახმარება.

უკრაინის სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაკები მოსამზადებელ მუშაობას შეუდგნენ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გასაშლელად და კურორტების მოსაწყობად.

○

ქალაქის სამედიცინო მუშაკთა მიტინგებზე ათობით ექიმებმა განაცხადეს, რომ მზად არიან თავდადებით ემსახურონ ხალხს. ძველმა ექიმმა დერევენკომ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა და მოიყვანა ფაქტები და ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ ბესარაბიის მშრომელთა შორის საშინლად არის გავრცელებული ისეთი სენი, როგორიც არის ტუბერკულოზი, პარტახტიანი ტიფი და რომ განუწყვეტლივ იზრდება სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ბავშვთა შორის. ბესარაბიის მოსახლეობა მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 3 პროცენტით შემცირდა.

—ადამიანები ბუზივით იხოცებოდნენ. ჩვენ ამას ვხედავდით, მაგრამ უძლურნი ვიყავით, რომ რაიმე დახმარება აღმოგვეჩინა მათთვის,— ამბობდა დერევენკო. — ტიფიან ავადმყოფს რომ აღმოვაჩენდით, მეფის მოხელეთა ბრძანების თანახმად უნდა დაგვესვა დიაგნოზი— „გრიპი“. ტუბერკულოზიან მძიმე ავადმყოფებს XI (მომაკვდავთა) განყოფილებაში ვგზავნიდით.

ამჟამად ჩვენ ენტუზიაზმით მოვკიდებთ ხელს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს. საბჭოთა ხელისუფლებამ შემოქმედებითი ძალა შეგვმატა. მთელს ჩვენს ენერგიას, მთელს ჩვენს ცოდნას მოვანდომებთ ხალხსა და ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

25-ათასიანი მიტინგი აკერმანში

აკერმანი, 4 ივლისი (საკდეს). გუშინ დილიდან ქალაქმა სადღესასწაულო სახე მიიღო. ქალაქის ქუჩები და ცენტრალური მოედანი მორთულია წითელი ტილოებით, ლოზუნგებითა და პლაკატებით. ყველგან მოჩანს ამხანაგ **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა პორტრეტები. დღის 3 საათისათვის ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარა 25 ათასმა კაცმა.

მხურვალე სიტყვით გამოვიდა კალატოზი ამხ. შაბინი, რომელიც შვიდ წელიწადს იჯდა რუმინეთის ჯურღმულებში. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აბუჩად იგდებდნენ მას ციხის დარაჯები, თუ რა მწარე იყო ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა ცხოვრება რუმინელი ბატონების უღელქვეშ.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე წითელი არმიის №-ის ნაწილის სამხედრო კომისარი ამხ. ფილიპოვი, რკინიგზელი მუშა ამხ. ულნიკი, შინამრეწველი მღესავი ამხ. ჩერნომორჩენკო, უკრაინის კ. პ. (ბ) ოდესის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ისაი და სხვები.

მიტინგის შემდეგ გაიმართა წითელი არმიის ნაწილების სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია, რაც რამდენიმე საათს გაგრძელდა.

გერმანიის მეექვსე „თეთრი წიგნის“ დოკუმენტები

სსრ კავშირზე საფრანგეთისა და ინგლისის თავდასხმის გეგმებისა და ამ თავდასხმაში თურქეთისა და ირანის მონაწილეობის შესახებ

დოკუმენტი № 1

ბერლინი, 3 ივლისი (საკდეს). მეექვსე „თეთრი წიგნის“ პირველი დოკუმენტი, რომელიც გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა, წარმოადგენს გენერალ ვეიგანის 1940 წლის 7 მარტის დეპეშას საფრანგეთის სახმელეთო ძალების მთავარსარდლის და თავდაცვის გენერალური შტაბის უფროსის — გენერალ გამელენისადმი. დეპეშაში ნათქვამია: „ავიაციის სარდალი შუა აღმოსავლეთში, ავიაციის მარშალი მიტჩელი, რომელიც ანკარას მიემგზავრება, დღეს გენერალ ჟონოს თანხლებით ბეირუთს ჩამოვიდა; მან მაცნობა, რომ ლონდონიდან მიიღო მითითებანი ბაქოს და ბათუმის შესაძლო ბომბარდირებისათვის მზადების შესახებ. ამასთანავე განაცხადა: განზრახვა მაქვს გენერალ ჩაკმაქს ვთხოვო ნება დამრთოს დავზვერო დიარბექირის, ერზერუმის, ყარსისა და... აეროდრომები, რომლებიც შეიძლება გამოდგნენ შუათანა საავიაციო ბაზებად და რომელთა მთავარი ბაზა იქნებოდა ჯეზირი. ავიაციის მარშალმა მიტჩელმა მთხოვა ნება დამერთო დაზვერა ჯეზირის აეროდრომები, რადგან პოლიტიკური მდგომარეობა ერაყისა, რომლის დამოუკიდებლობა აღიარებულია, შესაძლებლობას არ იძლევა გართულებათა საფრთხის შეუქმნელად იქნას გამოყენებული ამ სუვერენული ტერიტორიის აეროდრომები.

პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ მე დავაკმაყოფილე ავიაციის მარშლის სურვილი. დათვალიერებას მოახდენენ უახლოეს ხანს ინგლისელი და ფრანგი ოფიცრები, რომლებიც ჩავლენ სამოქალაქო ტანისამოსჩაცმულნი. ამასთან ისინი შექმნიან შთაბეჭდილებას, რომ საქმე ეხება ამ რაიონის ნავთიანი ადგილების შესწავლას.

ვეიგანი“.

დოკუმენტი № 2

გერმანიის მეექვსე „თეთრი წიგნის“ მეორე დოკუმენტში მოყვანილია გამელენის 1940 წლის 10 მარტის ჩანაწერი „ფინეთში წარმოებულ საომარ ოპერაციებში ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალების მონაწილეობის“ საკითხზე. ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საომარი მოქმედების დაწყებიდან, — სიტყვა-სიტყვით ნათქვამია ჩანაწერში, — საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა გამოსთქვეს თავიანთი მზადყოფნა აღმოეჩინათ ფინეთისათვის ქმედი და სწრაფი დახმარება საავიაციო მასალებისა და იარაღის მიწოდებით. მასალების პირველი მიწოდება 20 დეკემბერს დაიწყო. საფრანგეთის უმაღლესმა სარდლობამ თავის მხრივ მაშინვე მოჰკიდა ხელი მარშალ მანერჰაიმის აზრის გამორკვევას იმ საკითხზე, თუ რამდენად შესძლებენ ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას საფრანგეთის სამხედრო ძალები მოხალისეთა ჩაუთვლელად. ამ მიზნით ფინეთის გენერალისიმუსთან მივლინებული იყო კაპიტანი განევალი. ის გაემგზავრა ჰელსინკში 1939 წლის 20 დეკემბერს და 1940 წლის 20 იანვარს დაბრუნდა ფინეთიდან. 16 იანვრიდან დაწყებული, საფრანგეთის სარდლობა მუშაობდა ფინეთში შეიარაღებული ინტერვენციის საერთო გეგმაზე. ეს გეგმა ითვალისწინებდა, კერძოდ, მოკავშირეთა ჯარების გადასხმას პეტსამოში. ერთდროულად დაკავებული უნდა ყოფილიყო ნავსადგურები და აეროდრომები ნორვეგიის სანაპიროზე. ამას გარდა გეგმა ითვალისწინებდა საოკუპაციო ღონისძიებათა შესაძლებელ გავრცელებას შვეციაში, კერძოდ, რკინის მადნების ოკუპაციას ელივარეში, მადნის ამ წყაროს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის. ამ ოპერაციას მიზნად ჰქონდა შექმნა ერთდროულად მიმოსვლის ახალი ხაზი ნარვიკ-ლულეოზე გავლით. ოპერაციის გეგმა პეტსამოსთან, რომელიც აღწერილი იყო კაპიტან განევალის მიერ, მარშალ მანერჰაიმის გეგმას დაემთხვა. ინგლისის უმაღლეს სარდლობასთან წარმოებული ნახევრადოფიციალური მოლაპარაკების დროს ჩვენს აზრს დაეთანხმნენ. 31 იანვარს და 1 თებერვალს მოკავშირეთა შორის მომხდარი სამხედრო მოლაპარაკების დროს, რომელიც წინ უძღოდა უმაღლესი საბჭოს 5 თებერვლის სხდომას, ინგლისელებმა შემდეგისათვის გადასდეს საკითხი ფინეთისათვის უშუალო დახმარების აღმოჩენის შესახებ, მათ გამოამჟღავნეს თავისთავი, როგორც იმ ღონისძიებათა აშკარა მომხრეებმა, რომლებიც მიმართული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთი შვეციის რკინის მადნების წინააღმდეგ, როგორც იმ ღონისძიებათა მომხრეებმა, რომლებიც გზადაგზა უნდა განხორციელებულიყო უკიდურეს შემთხვევაში მაშინვე, როგორც კი შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი ფინეთში შევიდოდა. ამრიგად მათ პრაქტიკულად უარი განაცხადეს პეტსამოს წინააღმდეგ საომარ ღონისძიებებზე. პეტსამოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებას, შესაძლოა, მხოლოდ სასხვათაშორისო ხასიათი ჰქონოდა. ამ აზრმა უმრავლესობა მოიპოვა უმაღლეს საბჭოში. სკანდინავიის ექსპედიციის მზადება დაიწყო მაშინვე და ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ჯარები მარტის პირველ რიცხვებში უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. საფრანგეთის სამხედრო ძალების პირველი ჯგუფი (ალპიის მსროლელთა ბრიგადა) 26 თებერვალს მზად იყო დაეტოვებინა გარნიზონები და 1 მარტიდან შეეძლო ყოველწუთს ჩამჯდარიყო გემებში. მოულოდნელი იერიშის შემთხვევისათვის პეტსამოს წინააღმდეგ იქვე დიდი ხნით ადრე შეიძლებოდა გაეგზავნათ მოწინავე რაზმი. სკანდინავიაში განზრახული ოპერაციების ხელმძღვანელობა ინგლისელებს გადაეცა. საფრანგეთის სამხედრო ძალებს შეეძლოთ მხოლოდ განსაზღვრული მონაწილეობა მიეღოთ ჩრდილოეთის ოპერაციებში. საფრანგეთის არმია იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი მთავარი ძალები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც მის წინააღმდეგ იდგნენ გერმანიის მთავარი ძალები. ამას გარდა საფრანგეთის არმია, ვალდებული იყო ჰყოლოდა ჯარები ალპიის ფრონტზე და ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის წინააღმდეგ. საფრანგეთის არმიას ავანგარდები ჰყავდა აგრეთვე ლევანტში.

შემდეგ გამელენის ჩანაწერში ნათქვამია სხვათა შორის, რომ „საომარი მოქმედების ჩრდილოეთის პლაცდარმის შექმნა ომის წარმოების თვალსაზრისით შესანიშნავ ინტერესს წარმოადგენს მორალური სარგებლობის დამოუკიდებლად, ბლოკადა სრული იქნება და, რაც მთავარია, გზა მოეჭრება რკინის მადნის შვეციიდან გერმანიაში. ამასთან დაკავშირებით ბალკანეთში წინსვლა, სკანდინავიის ოპერაციებთან ერთად წარმოებული, გერმანიის ეკონომიურ გარემოცვას გააძლიერებდა. მაშინ გერმანიას მხოლოდ ერთადერთი გასავალი ექნებოდა ბლოკადის რგოლიდან, სახელდობრ, რუსეთთან არსებულ საზღვარზე. საომარი ოპერაციის თვალსაზრისით ბალკანეთის ოპერაციები საფრანგეთისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე ოპერაციები სკანდინავიაში: საომარი მოქმედების პლაცდარმი უფრო ფართო მასშტაბით გაიშლებოდა. იუგოსლავია, რუმინეთი, საბერძნეთი და თურქეთი მაშველ ძალებს წარმოადგენდნენ, რომლებიც დაახლოებით 100 დივიზიას შეადგენდნენ. ამასთან უნდა გვეფიქრა აგრეთვე რუმინეთის ნავთის წყაროებზე, რომლებიც შეიძლებოდა ან დაგვეცვა, ან გაგვენადგურებინა, და ბაქოს წყაროებზე. შვეციასა და ნორვეგიას შეეძლო მოეცა ჩვენთვის მხოლოდ სუსტი მაშველი ჯარები, დაახლოებით 10 დივიზიის რაოდენობით. ჯარის რაოდენობა, რომელიც გერმანელებს უნდა გადაეყვანა დასავლეთი ფრონტიდან, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენი ახალი ღონისძიებებისათვის, იქვე გარეშეა, იმავე პროპორციით გადაჯგუფდებოდა. სკანდინავიაში ომის გადატანის სარგებლობა მაინც უდავო რჩება, მაგრამ არ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ ტექნიკური სიძნელეები, რომლებიც წამოიჭრება ასეთ ღონისძიებათა დროს.

შემდეგ გამელენი ჩამოსთვლის ყველა ამ სიძნელეს, რომელთაგან მას უმთავრესად მიაჩნია ჰავა და ტრანსპორტი. ნარვიკიდან და ტრონჰეიმიდან ლულეოში მიმავალი რკინიგზები, — სწერს გამელენი, — შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ უმნიშვნელო ტვირთის გადასაზიდად. ამ რკინიგზების მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდება ფინეთში წინსვლის შემთხვევაში, რადგან მაშინ შეიძლება ვისარგებლოთ მხოლოდ ერთი რკინიგზით, რომელიც ლულეოსთან იწყება და ბოტნის ყურეს უვლის. მაგრამ ამ რკინიგზების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ შვედები თავიანთ რკინიგზის ვაგონების შემადგენლობას მოგვცემენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, — განაგრძობს გამელენი, — რომ სკანდინავიაში შესაძლებელი არ იქნებოდა სწრაფად ავამოქმედოთ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალები. ყველაზე უფრო ადვილად და სწრაფად შეიძლება დავეხმაროთ ფინეთს დიდი რადიუსით მოქმედ ყუმბარმშენთა გაგზავნით. ამის წინასწარი პირობა უნდა იყოს მოკავშირეთა გადაწყვეტილება — დაიწყონ საომარი მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ ისევე, როგორც პეტსამოში ჯარების გადასხმის დროს. დეკემბერს ფინეთში მასალების გაგზავნის შემდეგ, ახლა ფინეთისათვის დახმარების აღმოჩენა შეგვიძლია განვახორციელოთ მხოლოდ მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის გზით. საფრანგეთისა და პოლონეთის ჯარის გარდა, რომლებიც 15.000 კაცისაგან შესდგებოდა, ინგლისელებს ვარაუდი ჰქონდა გაეგზავნათ კიდევ 6-დან 7 დივიზიამდე. ამის გამო ფრიად საიდუმლო ცნობები მივიღე გენერალ აირონსაიდისაგან. ჯარის კონტინგენტები გათვალისწინებულია ჩვენს მიერ. სამხედრო კაბინეტის თანხმობა მიღებული არ არის. ამრიგად, ჯარის საერთო რაოდენობა სულ მცირე 150 ათას კაცს შეადგენს. ასეთი რაოდენობის ჯარის გადაყვანა გემებით თავისთავად მნიშვნელოვან ვადას მოითხოვს. ლაპარაკია რამდენიმე თვის შესახებ. ამიტომ ამჟამად არ შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილება ამ ჯარების რიცხვის გადიდებაზე. 2 ან 3 თვის განმავლობაში მდგომარეობა საფრანგეთის ფრონტზე უსათუოდ გამოირკვევა და მაშინ ჩვენ საშუალება გვექნება შევქმნათ წინასწარი პირობები ახალ გადაწყვეტილებათათვის. გამელენს საკუთარი ხელით აქვს მიწერილი: ჩვენ გადაჭრით უნდა შევასრულოთ შემდეგში ჩვენი გეგმები სკანდინავიაში, რათა ფინეთი გადავარჩინოთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელში ჩავიგდოთ შვეციის რკინის მადანი და ნორვეგიის ნავსადგურები. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით ომი ბალკანეთზე და კავკასიაში, რომლის წყალობითაც შეიძლებოდა გზები მოგვეჭრა, რომ გერმანიაში ვერ გადაეზიდათ ნავთი, უფრო ხელსაყრელია. მაგრამ ბალკანეთის გასაღები იტალიის ხელში იმყოფება.

დოკუმენტი № 3

ეს დოკუმენტი შეიცავს გამელენის 1940 წლის 12 მარტის დეპეშას გენერალ ვეიგანისადმი. დეპეშაში გამელენი უდასტურებს ვეიგანს, რომ, მისი აზრით, შუა აღმოსავლეთში ოპერაციებს უნდა ხელმძღვანელობდეს ინგლისის სარდლობა, ხოლო ოპერაციებს კავკასიაში — თურქეთის სარდლობა, რადგან ამ ოპერაციებს განახორციელებენ, უმთავრესად, თურქეთის შეიარაღებული ძალები მოკავშირეთა ავიაციისა და, შესაძლებელია, სპეციალური კონტინგენტების დახმარებით. ვეიგანს „შეუძლია ამ საკითხზე კავშირი გააბას მარშალ ჩაკმაქთან და მონაწილეობა მიიღოს ყველა მოსამზადებელ გამოკვლევაში, რაც შუა აღმოსავლეთში იწარმოებს“. იგი ვეიგანს შიკრიკის საშუალებით უგზავნის ნაკრებ მოხსენებით ბარათს კავკასიაში მოქმედების შესახებ.

დოკუმენტი № 4

მეექვსე „თეთრი წიგნის“ მე-4 დოკუმენტი წარმოადგენს საფრანგეთის ანკარელი ელჩის მასილის 1940 წლის 14 მარტის დეპეშას საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი პარიზში. დეპეშა შეეხება საფრანგეთის ელჩისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის მომხდარ ლაპარაკს ბაქოსა და ბათუმის ბომბარდირების შესახებ. ელჩი არავითარ დაბრკოლებას არ მოელის თურქეთის მთავრობის მხრივ. დეპეშაში ნათქვამია: „გუშინ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრს ვეწვიე, უკანასკნელმა საკუთარი ინიციატივით მიჩვენა ღამით მიღებული დეპეშა, რომლითაც თურქეთის წარმომადგენელი მოსკოვში იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საუბრის შესახებ. ამერიკის ელჩის აზრით, რუსებს იმდენად აფიქრებთ ბაქოს ნავთიანი რაიონის ბომბარდირებისა და ხანძრის საშიშროება, რომ საბჭოთა ორგანოებმა ამერიკელ ინჟინრებს მიჰმართეს კითხვით, შეიძლება თუ არა და რაინაირად უნდა იქნას ჩაქრობილი ბომბარდირებით გამოწვეული ხანძარი. ინჟინრებმა თითქოს უპასუხეს, რომ ნავთიანი ადგილების ექსპლოატაციის დღემდე არსებული მეთოდების შედეგად ნიადაგი იმდენად გაჟღენთილია ნავთით, რომ ხანძარი აუცილებლად მოედება მთელს მეზობელ ტერიტორიას. გაივლის თვეები, სანამ შესაძლებელი იქნება ხანძრის ჩაქრობა, და წლები, სანამ შესაძლებელი გახდება ნავთის ამოღების განახლება. რაც შეეხება მოსახლეობის დაცვას, ამ მიზნით ქალაქი გადატანილ უნდა იქნას 50 კილომეტრზე მისი ახლანდელი ადგილმდებარეობიდან.

რას იტყვით ამის შესახებ? — შემეკითხა სარაჯოღლუ. მე ვუპასუხე, რომ თანამედროვე ყუმბარმშენებს უეჭველად აქვთ მოქმედების საკმაო რადიუსი იმისათვის, რომ ჯეზირიდან ან ჩრდილოეთ ერაყიდან ბაქომდე მიაღწიონ. მაგრამ ამასთან საჭირო იქნება თურქეთის ან ირანის ოლქებზე გადაფრენა.

„მაშასადამე თქვენ, შიშობთ, რომ ირანი წინააღმდეგი იქნება?“ — მითხრა მინისტრმა. ამაზე უფრო გარკვევით მას არაფერი განუცხადებია იმის შესახებ, რომ თურქეთის მხრივ არ იქნება დაბრკოლება. უტაქტობა იქნებოდა, მე რომ იგი იძულებული გამეხადა უფრო ზუსტად გამოეთქვა აზრი. ამიტომ მეტს აღარ შევეხებივარ მის ნათქვამს, მიუხედავად ამისა, იგი მეტად დამახასიათებელია და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, თქვენო აღმატებულებავ, სპეციალურად მივაქციო თქვენი ყურადღება ამას. ეს მე ვაცნობე აგრეთვე ჩემს ინგლისელ კოლეგას.

მასილი“.

დოკუმენტი № 5

დოკუმენტი № 5 შეიცავს გენერალ გამელენის გეგმას, დათარიღებულს 1940 წლის 16 მარტით, რომელშიაც განხილულია ახალი ფრონტების შექმნის საკითხი. გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის მეურნეობა შესუსტებულ უნდა იქნას შვეციის მადნისა და რუმინეთის ნავთის შეტანის შეწყვეტის გზით. განზრახული აქვთ გაატარონ „გერმანიის შეიარაღებულ ძალთა დასუსტების სტრატეგია“. ომის წარმოების გეგმაში, რომელიც შედგენილია მთავარი ბანაკის მიერ, ნათქვამია: „რადგან „1940 წლის საომარ გეგმაში“ ჩამოყალიბებული დებულებანი ჩვენი მოქმედების საფუძვლად რჩებიან, ამიტომ, რუსეთ-ფინეთის ზავის ხელმოწერასთან დაკავშირებით, საჭიროა გამორკვეულ იქნას, რა ოპერაციების ჩატარება შეიძლება უახლოეს ხანში, რათა გადაჭრით თუ არა, საგრძნობლად მაინც დავარტყათ გერმანიას. როგორც ჩანს ხმელეთზე ამჟამად, მეტად ძნელია არსებითი შედეგების მიღწევა. ამიტომ საჭიროა ვაიძულოთ გერმანია ხელი აიღოს ლოდინის ახლანდელ პოზიციაზე. პირველი, რაც საჭიროა — ეს არის ბლოკადის გაძლიერება. სამეურნეო შედეგებთან ერთად, რომლებსაც ამ ღონისძიებებისაგან უნდა მოველოდეთ, საჭიროა მიზნად დავისახოთ:

1. შესაძლებელია, რომ გერმანიის ინტერესები მოითხოვს ხელი არ ახლოს ჰოლანდიისა და ბელგიას იმიტომ, რომ ეს ქვეყნები საშუალებას აძლევენ გერმანიას ფართო მასშტაბით აიცილოს თავიდან ბლოკადის გავლენა. ჰოლანდიისა და ბელგიაში საქონლის შეზიდვის მკაცრ კონტინგენტირებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ გერმანიამ გადაჭრით იმოქმედოს და თავს დაესხას ბელგიისა და ჰოლანდიას, რადგან ამ შემთხვევაში ეს ქვეყნები სამეურნეო მხრივ უმნიშვნელო სარგებლობას მოუტანდნენ მას.

2. ბელგიასა და ჰოლანდიას გერმანია უმთავრესად გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის იყენებს, მაშინ, როდესაც შვეცია გერმანიას აწვდის საჭირო ნედლეულს, სახელდობრ რკინის მადანს. უნდა ვეცადოთ, რომ შევწყვიტოთ ეს მიწოდება. ამას მივაღწევთ, თუ განვაცხადებთ, რომ გერმანიის მოსაზღვრე ნეიტრალური ქვეყნების საშუალებით გარკვეულ მნიშვნელოვან ნაწარმთა, მაგალითად, ლითონის ნაწარმთა მიწოდება პირდაპირ დახმარებას ნიშნავს და მას შეიძლება რეპრესიები მოჰყვეს. ამგვარად, შვეციას შეუძლია მხოლოდ ბლოკადის საფრთხის ქვეშ განაგრძოს გერმანიისათვის რკინის მადნის მიწოდება. ასევე ნორვეგიასაც შეუძლია დაუშვას ტრანზიტი თავის ტერიტორიაზე, თუ ამგვარსავე რისკს გასწევს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვეყანა დაგვემორჩილა, მიზანი მიღწეული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა მათი საზღვაო ვაჭრობის დარღვევა. ასეთ ვითარებაში შეიძლება მოხდეს, რომ გერმანია გამოეხმაუროს ამას და დაიწყოს საომარი მოქმედება შვეციის წინააღმდეგ. მაშინ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ საპასუხო მოქმედებისათვის. ამ მიზნით საფრანგეთსა და ჰოლანდიაში მზად უნდა იყვნენ პირველი ეშელონები სკანდინავიაში გასაგზავნად ან კონტრიერიშისათვის, ან, როგორც სიფრთხილის საშუალება.

3. საბჭოთა ნავთის კავკასიიდან გერმანიაში ექსპორტის შეწყვეტა წამოაყენებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების საკითხს. აქ წამოიჭრება თურქეთის მიერ ამ ღონისძიებათათვის ხელის შეწყობის ან ყოველ შემთხვევაში, აქ ღონისძიებებზე მისი თანხმობის პრობლემა. რაც უნდა მოხდეს აღმოსავლეთში, არ უნდა დავივიწყოთ იტალიის პოზიცია. ასე თუ ისე, ბაქოსა და ბათუმის ნავთიანი რაიონების ბომბარდირება საგრძნობლად შეუშლიდა ხელს გერმანიისათვის საწვავი მასალის მიწოდებას. თავის დროზე დასახული გეგმების თანახმად, ამისათვის დანიშნული იყო თვითმფრინავთა 9 შენაერთი. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის სარდლობა ამ მიზნისთვის გამოჰყოფს ოთხ შენაერთს, დანარჩენ ნაწილს გამოჰყოფს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ფლოტი. ამ შენაერთებს თავიანთი ბაზა ექნებოდათ ჯეზირში, სადაც ამისათვის შესაფერი პირობები მოიპოვება.

გარდა ამისა, ბაზები უნდა შეიქმნას აგრეთვე აზიის თურქეთში.

საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის სარდლობას ახლავე შეუძლია დაიწყოს ამიერკავკასიის ბომბარდირება, ამასთან შეუძლია გამოიყენოს მძიმე ყუმბარმზიდთა ორი შენაერთი, რომლებიც შეიძლება გაძლიერებულ იქნას საშუალო ყუმბარმზიდთა ორი შენაერთით. ეს თვითმფრინავები, თუ საფრანგეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობა ნებას მოგვცემს, შეიძლება გამოყოფილ იქნას საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტიდან. საჰაერო ოპერაციებს შეიძლება არსებითი დახმარება გაუწიოს:

1) სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედებამ, რომელმაც უნდა დაარღვიოს ნაოსნობა შავ ზღვაში. ამისათვის ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას საფრანგეთისა და ინგლისის წყალქვეშა ნავები. სრუტეებში მათი გავლა უნდა გულისხმობდეს თურქეთის აშკარა ან ჩუმ თანხმობას. შემდეგ, მათ უნდა გამოიყენონ ბაზა შავი ზღვის ნაპირებზე, მცირე აზიაში.

2) ხმელეთზე მოქმედება შეუძლია მხოლოდ თურქეთს და ამ მოქმედებას შეიძლება დახმარება გაუწიონ ლიბანში დაბანაკებული ჩვენი ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა. ინგლისის დაჟინებითი მოთხოვნით ირანმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ამ ოპერაციებში.

3) მხედველობაში ვიღებთ რა ომის უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამის წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა მოსაზრებას, საჭიროა რაც შეიძლება მალე შევუდგეთ მდინარეების დანაღმვას და დავიწყოთ ავიაციის მოქმედება. ამგვარად, შეიძლება ნაწილობრივ პარალიზებულ იქნას გერმანიის საშინაო სამდინარო ტრანსპორტი. ყოველ შემთხვევაში, რუსეთ-ფინეთის ზავმა არ უნდა შესცვალოს დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმები, რომლებიც დასახულია 1940 წლისათვის. ამ ზავმა ჩვენ უნდა წაგვაქეზოს და უფრო სწრაფად და გადაჭრით უნდა ვიმოქმედოთ. ბლოკადის ღონისძიებათა და ზოგიერთი საომარი ოპერაციის კომბინირებით შეგვიძლია არა მარტო გავაძლიეროთ ეკონომიური იზოლიაცია, არამედ ვაიძულოთ კიდევაც გერმანია ხელი აიღოს ლოდინის პოზიციაზე. ექვსთვის ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნეიტრალურ ქვეყნებს ეშინიათ გერმანიისა. ჩვენ არ უნდა მივმართოთ მუქარას მათ წინააღმდეგ, მაგრამ უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა. სავსებით გასაგებია, რომ დიპლომატიური და საომარი მოქმედება თანაბრად ენერგიულ უნდა იქნას.

გამელენი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეხუთე „თეთრი წიგნი“

გერმანიის გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგის“ 29 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია გერმანიის მე-5 „თეთრი წიგნის“ მასალები, რომლებშიაც ნათქვამია:

„იმ დოკუმენტების დამატებად, რომლებიც ეხებიან საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიუძღვის დანაშაული ომის დაწყებაში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს მე-5 „თეთრი წიგნი“ გამოაქვეყნა. წიგნის სათაურია: „შემდგომი დოკუმენტები დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ომის გაფართოებისაკენ“. წიგნის თემას წარმოადგენს ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების მოლაპარაკება ბელგიასთან და ჰოლანდიასთან.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოკავშირეთა გეგმები, რომლებიც მიმართული იყო ომის გაფართოებისაკენ, პირველად 1940 წლის 27 აპრილს დაახასიათა საჯაროდ თავის სიტყვაში, რომელიც მან დიპლომატიური კორპუსისა და გერმანიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა წინაშე წარმოსთქვა. ეს მოხდა მაშინ, როცა ინგლისის სურვილით ნორვეგია საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა ამით როდი დაკმაყოფილდა. კიდევ მეტი, 1940 წლის მაისის დამდეგს გერმანიის მთავრობამ გაიგო დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმები, რომელთა მიზანი იყო განეხორციელებინათ რურის ოლქზე თავდასხმა ჰოლანდიიდან და ბელგიიდან. ამგვარად, დასავლეთის სახელმწიფოებმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს თავიანთი მრავალი მუქარიდან და ნოტებიდან ნეიტრალური ქვეყნების, განსაკუთრებით ჰოლანდიისა და ბელგიის მიმართ. დასავლეთის სახელმწიფოებმა ორივე ამ ქვეყანაში მათი მაშინდელი ხელმძღვანელებისა და ორგანოების სახით თავიანთი პოლიტიკის მორჩილი იარაღი იპოვეს.

1940 წლის 10 მაისს გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი ბელგიისა და ჰოლანდიის მთავრობების მიმართ, აგრეთვე გერმანიის უმაღლესი სარდლობის მოხსენება გერმანიის მთავრობისადმი. გერმანიის სარდლობის ამ მოხსენებაში დოკუმენტების საშუალებით დამტკიცებული იყო, რომ ერთი მხრივ, ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებსა და ბელგიასა და, მეორე მხრივ, ჰოლანდიას შორის სწარმოებდა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების მიზანი იყო მომზადებინა ინგლისისა და საფრანგეთის მიერ განზრახული თავდასხმა რურის ოლქზე ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიიდან.

თუმცა გენერალური შტაბების მოლაპარაკება საიდუმლოდ სწარმოებდა, მაგრამ დროგამოშვებით საზოგადოებრიობის ყურამდე აღწევდა ზოგიერთი ხმები ამის შესახებ. 1936 წლის 6 მარტს ბელგიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და საფრანგეთის მაშინდელმა ელჩმა ბრიუსელში დაუდასტურეს ერთმანეთს, რომ მათი მთავრობები დაინტერესებულნი არიან შენარჩუნებულ იქნას ბელგია-საფრანგეთის სამხედრო კავშირის ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია გენერალური შტაბების კონტაქტის შესახებ. 1939 წელს, როცა ინგლისმა სავსებით გაშალა თავისი საომარი პოლიტიკა გერმანიის წინააღმდეგ, ბელგიის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გაიმართა თათბირები, რომლებზედაც განსაკუთრებით დაწვრილებით იქნა განხილული ბელგიის, საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო კონტაქტის საკითხი. 1940 წლის დამდეგს უკვე აღარა მალავდნენ გენერალური შტაბების საიდუმლო მოლაპარაკების ფაქტს. მაგალითად, 7 თებერვალს ბელგიის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ „ბელგიის პასუხისმგებელ ორგანოებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ არცერთი ფაქტორი, რომელიც საშუალებას მისცემდა ბელგიის დამოუკიდებლობის გარანტებს შეესრულებინათ ის ვალდებულებანი, რაც მათ საჯაროდ იკისრეს“. გარანტი სახელმწიფოები იყვნენ გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი. მაგრამ, რადგან გერმანიას არასოდეს არ დაუდვია გარიგება ბელგიის გენერალურ შტაბთან, ამიტომ ბელგიის სამხედრო მინისტრის მიერ მოხსენიებული გარანტი სახელმწიფოები არიან მხოლოდ ინგლისი და საფრანგეთი. შემდეგმა დღემ, 8 თებერვალმა, ერთხელ კიდევ დაადასტურა ბელგიის ეს პოლიტიკა. როცა დეპუტატმა გრამანმა ბელგიის პარლამენტში მოითხოვა, რათა ბელგიის სამხრეთ საზღვარზედაც აეგოთ თავდაცვითი სიმაგრეები, მას მაშინათვე სიტყვა შეაწყვეტინეს სამხედრო მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ იმ საბაბით, რომ „მას არა აქვს უფლება სთქვას რაიმე ისეთი, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს ქვეყნის თავდაცვას ან შეიძლება არასწორად იქნას გაგებული“. ეს იმას ნიშნავს, რომ ბელგიის გენერალურ შტაბს არა სურდა გახმაურებულიყო ის ფაქტი, რომ ბელგია სიმაგრეებს აგებდა მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ. ბელგიის გენერალურ შტაბს არა სურდა გამოემჟღავნებინა თავისი სამხედრო პოლიტიკა, რომელიც ცალმხრივად იყო მიმართული გერმანიის წინააღმდეგ.

ბელგიის პოლიტიკა რომ უკვე დიდი ხანია ყველა დარგში ცალმხრივად იყო მიმართული გერმანიის წინააღმდეგ, ამის შესახებ საკმაო ფაქტები იყო მოყვანილი გერმანიის უმაღლესი სარდლობის მოხსენებაში, რომელიც დართული ჰქონდა გერმანიის მემორანდუმს. ამის ახალი დამამტკიცებელი საბუთია ბელგიის სამხედრო სამინისტროს 1937 წლის განკარგულება სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ. ეს დოკუმენტი გერმანელებს ამას წინათ ჩაუვარდათ ხელში. აქ ლაპარაკია საომარი მოქმედების შესაძლო რაიონებიდან ქალთა, ბავშვთა, მოხუცთა, ავადმყოფთა და სხვათა ევაკუაციის დაწვრილებით გეგმაზე. იმის განსაკუთრებით დამახასიათებელი საბუთი, რომ ბელგია-საფრანგეთ-ინგლისის არმიის შეტევის გეგმები უკვე დიდი ხანია შედგენილი იყო, არის მითითება, რომ გარკვეული გზატკეცილები და მისასვლელი გზები საევაკუაციო მოსახლეობისაგან თავისუფალი უნდა დარჩენილიყო, რადგან საჭირო იყო მათი შენარჩუნება ინგლისის არმიისათვის“. მაშასადამე, აქ გენერალური შტაბების მიერ უკვე შემუშავებული იყო ინგლისის არმიის წინსვლის ყველა დეტალი. სრულიად უეჭველია, რომ უკვე რამდენიმე წლის წინათ სწარმოებდა მოლაპარაკება, ერთი მხრივ, ბელგიის გენერალურ შტაბსა, ხოლო, მეორე მხრივ, საფრანგეთისა და ინგლისის გენერალურ შტაბებს შორის (აგრეთვე ჰოლანდიასთან). ახლა, გერმანიის ჯარის სწრაფი შეტევის მეოხებით, ხელთ ვიგდეთ დიდძალი ახალი დოკუმენტები და მასალები, რომლებსაც შეადგენენ სამსახურებრივი მითითებანი, რუკები და სხვ. ეს დოკუმენტები და მასალები წარმოადგენენ იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთებს, რომ არა მარტო არსებობდა შეთანხმება, ერთი მხრივ, ინგლისისა და საფრანგეთის, მეორე მხრივ — ბელგიისა და ჰოლანდიის უმაღლეს სარდლობას შორის, არამედ რომ ამ შეთანხმების საფუძველზე შემუშავებულიც იყო ბრძანებანი ყველა გვარეობის ჯარებისათვის, რომლებსაც ისინი კიდევაც გადაეცა საორიენტაციოდ. შემდეგ ამ მასალებიდან უდავოდ გამომდინარეობს, რომ საფრანგეთ-ბელგიის არმიის საერთო შეტევა აგებული იყო ბელგიის გენერალურ შტაბთან მჭიდრო თანამშრომლობის ბაზაზე. ამ მასალების დიდი რაოდენობიდან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა რამდენიმე პირველი დოკუმენტი, რომლებითაც მტკიცდება, რომ საფრანგეთისა და ინგლისის არმიების ავანგარდის ნაწილის წინსვლა დეტალურად იყო შემუშავებული და რომლებიდანაც სჩანს, თუ როგორი იყო მოსაზრებული ბელგიის, ჰოლანდიისა და ინგლისის არმიების მოქმედების კოორდინაცია.

1-ლი დოკუმენტიდან სჩანს, რომ, ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების განზრახვათა თანახმად, პირველ რიგში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ლუქსემბურგის ტერიტორია. აქ ლაპარაკია „საფრანგეთის იმ ნაწილის“ სარდლის ბრძანებაზე, „რომელსაც დაკისრებული ჰქონდა საომარი ოპერაციების წარმოება ლუქსემბურგში“. ბრძანება დათარიღებულია 1940 წ. 2 მაისით და შეიცავს წინათ გაცემული განკარგულების შეცვლას იმ შემთხვევისათვის, როცა მოვიდოდა ბრძანება „შედით ლუქსემბურგში. გაილაშქრეთ დაუყოვნებლივ“.

მე-2 დოკუმენტი წარმოადგენს პოლკისადმი 1940 წლის 2 აპრილს გაცემულ ბრძანებას, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ საფრანგეთის მოტორიზებული დაზვერვის მე-4 ცხენოსანმა პოლკმა მაშინვე, გალაშქრების პირველსავე დღეს, უნდა მიაღწიოს მდინარე მაასს და თავისი მეწინავე ნაწილები გაჰგზავნოს ბელგიის პუნქტ მარშისაკენ და პუნქტ დიურბიუისაკენ, რომელიც მდებარეობს 30 კილომეტრზე ლიეჟის სამხრეთით. ბრძანებით ზუსტად გათვალისწინებულია, თუ რა ფორმით უნდა დაამყაროს პოლკმა კონტაქტი საფრანგეთის ჯარის იმ ნაწილებთან, რომლებიც მეზობელ რაიონებში მოქმედებენ, აგრეთვე ბელგიის ჯართან ნამიურის სიმაგრის რაიონში. ნამიურსა და დინანს შორის მაასის გადასვლის შემდეგ პოლკი მაასის სამხრეთით უნდა დაძრულიყო. დივიზიას, რომელშიც ეს პოლკი შედის, ამის შესაბამისად ეძლევა დავალება — მიაღწიოს გერმანიის საზღვარს აახენის მახლობლად.

მე-3 დოკუმენტი დაწვრილებით ამტკიცებს, თუ რა ფართო ხასიათი მიიღო მზადებამ იმისათვის, რომ საფრანგეთ-ინგლისის ჯარები ბელგიაში შესულიყვნენ. ეს ბრძანება, გაცემული მე-4 მსუბუქი დივიზიისადმი, რომელიც ნახსენებია № 2 დოკუმენტში, ეხება დამატებითი ძალების მოყვანას ლაშქრობის პირველ დღეებში. ბელგია-საფრანგეთის შეთანხმების დამახასიათებელ დეტალებს წარმოადგენენ განკარგულებანი იმის შესახებ, რომ ბელგიის საწყობებიდან კონფისკებულ იქნას საწვავი მასალა საფრანგეთის არმიისათვის, და იმის შესახებ, თუ რა წესითა და ფორმით ანაზღაურდეს ეს მასალა. მაგალითად, მე-4 მსუბუქი დივიზიისადმი გაცემულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ქვითრებს, რაც დამზადებულია სპეციალურად იმ შემთხვევისათვის, როცა საფრანგეთის ჯარი ბელგიაში შევა, და რასაც აკრავს შტემპელი — „საფრანგეთის არმია“, ძალა აქვს ბელგიის საწვავი მასალის როგორც სამოქალაქო საწყობებისათვის, ისე სამხედრო საწყობებისათვის. ორივე გენერალურ შტაბს შორის არსებული შეთანხმების შემდგომი დამამტკიცებელი საბუთია დივიზიისადმი გაცემული ამ ბრძანების მე-5 პუნქტი, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ბელგიის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარის შესვლის პირველსავე დღეს ბელგიის ვაგზლებში უნდა გადმოესხათ მოტორიზებული ნაწილები.

მე-4 საბუთი შეიცავს საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის 1940 წლის 16 აპრილის ბრძანებას. ბრძანებიდან სჩანს, რომ ბელგიაში შესასვლელად გათვალისწინებულია ბელგიის რკინიგზის ქსელის გამოყენება და რომ ამ საკითხზე შედგენილია დაწვრილებითი გეგმა. ეს ბრძანება აღმოჩნდა საფრანგეთის მე-21 ქვეითი დივიზიის ქაღალდებში ხსენებული დივიზიის გადაყვანის გეგმასთან ერთად, რომელიც აქვე იყო დაბეჭდილი. ამ გეგმაში, აგრეთვე ამ გეგმისთვის ხსენებული დივიზიის ცალკეული ნაწილებისათვის ხელით დაწერილ ბარათში, რომელიც ამ გეგმას ერთვის, აღნიშნული იყო რკინიგზის სადგურები ბელგიის საზღვრის მახლობლად. აღნიშნული იყო აგრეთვე ანტვერპენის დასავლეთით მდებარე უკანასკნელი სადგურები და მატარებლების გასვლის ზუსტი დრო. ეს ამტკიცებს, რომ ბელგიაში საფრანგეთის ჯარის რკინიგზით გასაგზავნად უაღრესად დაწვრილებით შემუშავებული იყო გეგმა, რომელიც, ცხადია, ბელგიის რკინიგზების სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა.

მე-5 საბუთი დაწვრილებით გვიჩვენებს ბელგიაში საფრანგეთის ჯარის წინსვლის მომზადებას. გამოცემული იყო სპეციალური სქემები, რომლებიც სახავდნენ ბელგიის ტერიტორიაზე წინსვლის გზებს. ეს სქემები უნდა გაემრავლებინათ იმისათვის, რომ თვითეულ მეთაურს თვით ეფრეიტორსაც კი, კარგად შეეთვისებინა ჯარის მარშრუტი ბელგიაში. ეს ღონისძიება უნდა განეხორციელებინათ 1940 წლის 8 თებერვლამდე.

მე-6 საბუთი იმას მოწმობს, რომ ბელგიის ტერიტორიის შესასწავლად არა მარტო რუკებს ადგენდნენ, არამედ აგრეთვე საფრანგეთის ოფიცრებს უფლება ეძლეოდათ მგზავრობის საშუალებით გაეცნობოდნენ ადგილმდებარეობას. დოკუმენტი შეიცავს ფრანგი ლეიტენანტის დოლფუსის დღიურს. 16 იანვარს დღიურში შეტანილია შემდეგი ჩანაწერი: „პოზიციების დაზვერვა ბელგიაში“. არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ საფრანგეთის ოფიცრების ეს ზვერვითი საქმიანობა ბელგიის ტერიტორიაზე ბელგიის მთავრობის თანხმობით ხორციელდებოდა.

მე-7 და მე-8 საბუთი იმას ამტკიცებს, რომ ბელგიის ტერიტორიაზე იყვნენ საფრანგეთის არა მარტო ცალკეული ოფიცრები, არამედ 10 მაისამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე შევიდნენ ბელგიაში საფრანგეთის ჯარის მთელი ნაწილები. მასალებს შორის არის ორი ოქმი ბელგიის დასახლებული პუნქტიდან — ბერტრიდან თვალყურის დევნების შესახებ. ბერტრი 25 კილომეტრით დაშორებულია საფრანგეთის საზღვარს. ოქმში (საბუთი № 7) ჩაწერილია ამ ადგილის მცხოვრების, ლუქსემბურგის ქვეშევრდომის განცხადება, რომ 3 და 4 მაისს მან ბერტრში ნახა საფრანგეთის სატანკო ნაწილი, რომელიც საფრანგეთიდან ჩამოვიდა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. გერმანელების მიერ ტყვედ წამოყვანილმა ფრანგმა ჯარისკაცმა, თავისი მხრივ, განაცხადა, რომ მისი სატანკო ნაწილი უკვე 15 აპრილიდან იმყოფებოდა ბელგიაში (საბუთი № 8).

მე-9 საბუთი წარმოადგენს საფრანგეთის მე-9 არმიის გენერალური შტაბის ბარათს „ბელგიაში მდინარე მაასის აღმოსავლეთით განზრახული წინსვლის შესახებ“ 1940 წლის 28 მარტს. ბარათს დართული აქვს ხელით დაწერილი შენიშვნა, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ მე-9 არმიის გენერალური შტაბისათვის. იგი შეიცავს ბელგიის ოპერაციული გეგმის კრიტიკას იმდენად, რამდენადაც მას დამოკიდებულება ჰქონდა ბელგიაში გავლით საფრანგეთის მე-9 არმიის წინსვლის ამოცანებთან. კრიტიკიდან სჩანს, რომ ფრანგებს ყოველგვარი ცნობები მოეპოვებოდათ ბელგიის არმიის მოწინავე ხაზებისა და მისი ცალკეული ნაწილების შესახებ, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ბელგიელებს დასახული აქვთ იმ შემთხვევისათვის, თუ არ მოხერხდა მოწინავე პოზიციების შენარჩუნება. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი საიდუმლო ინფორმაციის მიღება მხოლოდ უშუალოდ ბელგიის სამხედრო სარდლობისაგან შეიძლებოდა, ეს კი ისევ იმის დამამტკიცებელია, რომ საფრანგეთისა და ბელგიის გენერალური შტაბები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ.

მე-10 საბუთი წარმოადგენს 1940 წლის 13 აპრილის ბრძანებას ბელგიის გრენადიორთა მეორე პოლკისადმი. ბრძანებიდან სჩანს, რომ ამ პოლკს დავალებული ჰქონდა გაეუმჯობესებინა სიმაგრეები ნინოვსა და გალს შორის, მოეწყო მავთულხლართები და ჩაეტარებინა სხვადასხვა საფორტიფიკაციო სამუშაო. განსაკუთრებით დამახასიათებელია ბრძანებაში არსებული მითითება სათაურით „ცნობები მეგობრული ჯარის შესახებ“ (აქ ნაგულისხმევი არიან ფრანგები). შეიძლება აღინიშნოს, რომ საფრანგეთისა და ბელგიის არმიების სამხედრო თანამშრომლობა აპრილში იმდენად შორს წავიდა, რომ ისინი მაშინვე ისე უყურებდნენ ერთმანეთს, როგორც მოკავშირეები.

მე-11 საბუთი შეიცავს ინგლისის მეორე დივიზიის 1940 წლის 19 აპრილის ბრძანებას. ბრძანება ნათლად მოწმობს ბელგიაში ჯარების მომავალ შესვლასთან დაკავშირებით ბელგიის სახელმწიფო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობას. იუწყებიან, რომ ბელგიის პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლები მივლინებული იქნებიან ინგლისის შტაბთან და ცალკეულ კორპუსებთან. ბრძანებაში აღნიშნულია ბელგიის პოლიციასთან თანამშრომლობის აუცილებლობა. ბრძანების დანართი შეიცავს იმ პირთა სიას, რომლებიც ფლანდრიის სხვადასხვა რაიონებში იმყოფებიან და რომლებიც დაპატიმრებული უნდა იყვნენ ინგლისის ჯარების შესვლისთანავე, და ამ პირთა დაპატიმრება უნდა მოახდინოს არა ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ. არამედ ბელგიის პოლიციამ.

მე-12 საბუთი წარმოადგენს რუკას, რომელიც ნათლად მოწმობს ფრანგების განზრახვებს. ამ რუკაზე გაკეთებული წარწერები, რომლებიც აღმოუჩინეს საფრანგეთის პირველი მსუბუქი დივიზიის ერთერთ ოფიცერს, იმას გვიჩვენებს, რომ დივიზია, რომელიც ვალანსიენის რაიონში იდგა, ბელგიის საზღვარზე სამი გზით უნდა გადასულიყო, რომ წინ წაწეულიყო ბრიუსელ-შარლეროას არხის რაიონამდე. შტაბის ადგილსამყოფელად არჩეული იყო ქალაქი სუანი, არხის დასავლეთით. ეს დივიზია წინ უნდა წასულიყო გერმანიის საზღვრისაკენ სენ-ტრონამდე, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ალბერტის არხის სამხრეთით, გასელტის რაიონში. შემდეგ რუკაზე გაკეთებული წარწერებიდან სჩანს, რომ რაიონი ამ უბნის ჩრდილოეთით დათმობილი ჰქონდა ინგლისის არმიას. ცხადია, რომ ასეთი ოპერაციული გეგმის შედგენა მხოლოდ ბელგიის გენერალური შტაბის თანხმობით შეიძლებოდა.

მე-13 საბუთი ავსებს პირველი მსუბუქი დივიზიის მსვლელობის სქემას, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო წინა საბუთში. იგი შეიცავს ამ დივიზიის 1939 წლის 18 დეკემბრის ბრძანებას, რომელშიც აღნიშნულია თუ რა კავშირი უნდა იყოს დამყარებული მოძრაობის დროს. ინგლისის ძალებთან ერთად (ინგლისის ორი დივიზია), რომლებიც წინ უნდა წასულიყვნენ მარცხენა ფლანგზე, პირველ ადგილზე დაწინაურებულია ბელგიის არმია. კავშირი უნდა ყოფილიყო დამყარებული ამ უბანზე მოქმედ ბელგიის ჯარებთან, აგრეთვე ბელგიის გენერალურ შტაბთან ბრიუსელში. კავშირი გენერალურ შტაბთან განხორციელებული უნდა ყოფილიყო გენერალური შტაბის მეორე განყოფილების უფროსის საშუალებით.

მე-14 საბუთი წარმოადგენს ინგლისის ჯარების მოძრაობის გზების რუკას. რუკა დაბეჭდილია 1940 წლის აპრილში. ეს ცხადჰყოფს, რომ ბელგიაზე გადავლით ინგლისის ჯარების შეტევის გეგმა მაშინვე იყო დამუშავებული დაწვრილებით.

მე-15 საბუთი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ბელგიაზე მოძრაობის დროს უნდა განხორციელებულიყო კავშირი ინგლისისა და ბელგიის ჯარებს შორის. აქ აღნიშნულია ინგლისის მესამე დივიზია, რომელიც ლილიდან უნდა დაძრულიყო, აგრეთვე ტიურნ-ჰაუტის რაიონში განლაგებული ბელგიის დივიზია. კავშირი უნდა ყოფილიყო დამყარებული აგრეთვე ბელგიის მთავარ ბანაკთან. სწორედ ასევე, კონტაქტი უნდა დამყარებულიყო ჰოლანდიის ჯარებთან, რომელთაც ბრძანებების თანახმად, ტილბურგის რაიონამდე უნდა მიეღწიათ.

მე-16 საბუთი არის საფრანგეთის პოდპოლკოვნიკ ლესტოკუას, იმ განსაკუთრებული ჯგუფის მეთაურის ოპერაციული ბრძანება, რომელსაც დავალებული აქვს სწრაფი მარშით წინსვლა ბელგიაზე გავლით დიუნკერკიდან ჰოლანდიის კუნძულებისაკენ — ვალჰერნისა და ბევერლანდისაკენ — და ამ კუნძულების ოკუპირება. ბრძანებაში ხაზგასმით აღნიშნულია ამ ოპერაციის განხორციელების დროს ბელგიისა და ჰოლანდიის ჯარების ურთიერთმოქმედების აუცილებლობა.

მე-17 საბუთი დათარიღებულია 1939 წლის 15 ნოემბრით და წარმოადგენს საფრანგეთის პოდპოლკოვნიკ ასტაფორის ოპერაციულ ბრძანებას, რომლის ჯგუფი განლაგებული უნდა ყოფილიყო ლესტოკუას ჯგუფის დასავლეთით. საფრანგეთის ამ ჯგუფს ნაბრძანები ჰქონდა რაც შეიძლება სწრაფად დაწინაურებულიყო დიუნკერკის რაიონიდან და მიეღწია ბრესკენსის პუნქტამდე, შელდის შესართავთან, ბორნით გადასულიყო ფლისინგენში და უზრუნველეყო იქ განლაგებული აეროდრომები.

მე-18 საბუთი არის 1940 წლის 17 აპრილის ბრძანება. ბრძანება გაცემულია საფრანგეთის სადაზვერვო ნაწილის მეთაურის მიერ და ეხება ბელგიაზე გავლით წინსვლას ჰოლანდიის ქალაქ ბრედამდე. ეს საბუთი, ისევე, როგორც წინა სამი საბუთი, ნათლად გვიჩვენებს ინგლისისა და საფრანგეთის განზრახვას, რომლებიც ცდილობდნენ პოზიციების დაკავებას არა მარტო ბელგიაში, არამედ ჰოლანდიაშიც, საიდანაც უნდა დაწყებულიყო შეტევა გერმანიის წინააღმდეგ. შემდეგ ეს საბუთი იმას მოწმობს, რომ საფრანგეთ-ინგლისის ოპერაციული გეგმების აგებისას მხედველობაში იყო მიღებული ბელგიისა და ჰოლანდიის არმიებთან ურთიერთმოქმედება და რომ ეს გეგმები შეთანხმებული იყო ბელგიის გენერალურ შტაბთან.

მე-19 საბუთი შეიცავს მეორე დამტკიცებას იმისას, რომ გენერალურ შტაბებს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა. ლაპარაკია ჰოლანდიის არმიის მთავარსარდლის ვინკელმანის 1940 წლის 23 მარტის მემორანდუმზე. ეს მემორანდუმი ჰოლანდიის ბრიუსელელი დესპანის საშუალებით გადაეცა ბელგიის მთავრობას; იგი ნაპოვნია ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ეს მემორანდუმი ცხადჰყოფს, რომ არა მარტო სამხედრო მოლაპარაკება სწარმოებდა ჰოლანდიასა და ბელგიას შორის, არამედ გათვალისწინებული იყო თანამშრომლობა ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებთან. დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ რამდენ დივიზიას მოელიან ინგლისიდან და საფრანგეთიდან და რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ჩრდილოეთ ბრაბანტში, რათა ჰოლანდიის არმიამ ამ პროვინციებში ბელგიის არმიასთან და აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის არმიებთან ერთად იმოქმედოს. ამ საკითხზე საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებთან მოლაპარაკების დროს გენერალმა ვინკელმანმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ გრაბეს ხაზიდან ჰოლანდიის ჯარის გადაყვანა ჰოლანდიის ციხესიმაგრეში სინანულს იწვევს როგორც ჰოლანდიის თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით, რადგან „გრაბეს ხაზის შენარჩუნება ხელსაყრელ დროს შეტევაზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა“. მთელი ამ მოლაპარაკების მიზანი იყო ჰოლანდიის პოზიციების მაქსიმალურად გამოყენება დასავლეთის სახელმწიფოების მეტად ფართო შეტევითი გეგმებისათვის.

ყველა ამის შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ:

1) მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოლაპარაკება ბელგიისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის არასოდეს არ შეწყვეტილა. იგივე შეიძლება ითქვას ბელგიისა და ინგლისის გენერალური შტაბების თანამშრომლობის შესახებ. ასევე იყო მიღწეული შეთანხმება ჰოლანდიის მთავრობასა და ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის.

2) საბუთები, რომლებიც ხელთ იგდო გერმანიის ჯარმა ბელგიაში, ეჭვმიუტანლად ამტკიცებენ, რომ ინგლის-საფრანგეთის თავდასხმა რურის ოლქზე ბელგიასა და ჰოლანდიაზე გავლით გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ 1939 წლის სექტემბერში. უფრო მეტი, ისინი ამტკიცებენ, რომ არა მარტო გენერალური შტაბები, არამედ ჯარიც დაწვრილებით იყო ინფორმირებული ამ ბრძანებათა შესახებ.

ინგლისი და საფრანგეთი, ალბათ, ამაოდ შეეცდებიან გამოვიდნენ ამ ნათელი დამამტკიცებელი საბუთების წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა გერმანიის მეოთხე „თეთრი წიგნის“ გამოქვეყნების შემდეგ. ამ წიგნში გამომჟღავნებული იყო ინგლისის განზრახვები ნორვეგიის მიმართ. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ნორვეგიაში წარმოებული კამპანიის ერთადერთი მიზანი იყო ხელი შეეშალათ გერმანიის გეგმებისათვის. ასე, ეჭვმიუტანელი საბუთების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ინგლისელებმა უკვე 7 აპრილს გაჰგზავნეს ექსპედიცია ნორვეგიაში, მათ განაცხადეს, რომ ინგლისის გეგმები შედგენილი იყო მას შემდეგ, როცა გერმანიის გემები უკვე ნარვიკისაკენ მიემართებოდნენ.

ინგლისის ამ მტკიცებათა უსაფუძვლობა დახასიათებულია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის მიერ იმ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა 27 აპრილს დიპლომატიური კორპუსისა და გერმანიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლების წინაშე. რიბენტროპმა განაცხადა, რომ ინგლისმა 8 აპრილს დაიწყო ნორვეგიის ტერიტორიული წყლების დანაღმვა იმისათვის, რომ ამრიგად უზრუნველეყო საექსპედიციო კორპუსის ნაპირზე გადაყვანა, რომ ბრძანება გერმანიის ფლოტისადმი — წასულიყო ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ მაშინ გაიცა, როდესაც ინგლისის გეგმა დაწვრილებით გაიგო გერმანიამ. ამრიგად, გერმანიის კონტრმოქმედება დაიწყო 9 აპრილს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ნაპირზე გადასხმისათვის. სკანდინავიაში ინგლისის აგრესიული განზრახვების მეორე ნათლად დამამტკიცებელია ის საბუთი, რომელიც შემთხვევით ჩაუვარდა ხელში გერმანიის ჯარს ნორვეგიაში წარმოებული ოპერაციების დროს. ამ საბუთმა საბოლოოდ გამოააშკარავა ინგლისის გეგმების ნამდვილი მიზნები. ლაპარაკია ნარვიკში ავონფორსის მეთაურობით განლაგებული ჯგუფის ოპერაციულ გეგმაზე და ინგლისის სამხედრო სამინისტროს 6 აპრილის ბრძანებაზე (საბუთი № 20). ამ ბრძანების მეორე აბზაცში გარკვევით სწერია, რომ ჯარების ამ ჯგუფის მიზანია შვეციის რკინის მადნების რაიონი. შემდეგ იქ ნათქვამია, რომ განსაზღვრულ დროს, რომელიც ნაჩვენები იქნება ჯარის ჯგუფის ამ უფროსის მიერ, განხორციელებული უნდა იქნას შვეციაზე თავდასხმა ელივარში არსებული რკინის მადნების ოკუპაციის მიზნით. თუ ინგლისის მინისტრების საჯარო განცხადებებს დავუჯერებთ, გერმანიის ჯარები განდევნილი უნდა ყოფილიყვნენ ნორვეგიიდან. მაგრამ ინგლისის ჯარების შესახებ ამ ბრძანებაში ერთი სიტყვაც არ არის თქმული. ამ ბრძანების მეორე მუხლში მხედველობაშია მიღებული მტრის შესაძლებელი კონტრმოქმედება, მაგრამ ისეთი ფორმით, რომ ეს უნდა მოხდეს არა უადრეს მაისის დამდეგისა, მაშასადამე, რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა განხორციელებული იქნება ინგლისის მიერ მიმართული შვეციის წინააღმდეგ განზრახული გეგმა. ამ ბრძანებიდან ნათელი ხდება, რომ ინგლისის მთავრობა ხელმძღვანელობდა ერთადერთი მისწრაფებით — ხელში ჩაეგდო შვეციის რკინის მადნები. მტკიცება, რომ ინგლისის ექსპედიციას სკანდინავიაში მიზნად ჰქონდა დასახული კონტრღონისძიებები გერმანიის წინააღმდეგ, ამით სავსებით და საბოლოოდ მხილებულია. დასავლეთის სახელმწიფოები ომის გამოცხადების მომენტიდან იმ მისწრაფებით ხელმძღვანელობდნენ, რომ დაეფარათ თავიანთი პოზიციების მორალური და სამხედრო სისუსტე, და ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, უწინარეს ყოვლისა, მცირე სახელმწიფოები. ასე უნდა მოსვლოდა სკანდინავიას, შემდეგ ჰოლანდიას, ბელგიასა და ლუქსემბურგს. მაგრამ გერმანიის არმიამ საბოლოოდ გაანადგურა ინგლისის ეს გეგმები.

დანართი 1

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1936 წლის 6 მარტის ნოტა.

საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა სამინისტროს 1936 წ. 6 მარტის ნოტა ამბობს: „მის აღმატებულებას ბ-ნ ვან-ზეელანდს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს და საგარეო ვაჭრობის მინისტრს.

ბ-ნო მინისტრო!

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის და ბელგიის პრემიერ-მინისტრის მიერ 1920 წ. 10 და 15 სექტემბერს ერთმანეთისადმი წერილებით მიმართვის გზით საფრანგეთის მთავრობამ და მისი უდიდებულესობის ბელგიის მეფის მთავრობამ თანხმობა გამოსთქვეს ხელი მოეწერათ 1920 წ. 7 სექტემბერს სამხედრო შეთანხმებაზე. ამ წერილების მიხედვით, 1920 წლის შეთანხმებას მიზნად ჰქონდა განემტკიცებინა მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და უშიშროების გარანტიები, რომლებიც ერთა ლიგის პაქტიდან გამომდინარეობენ. ამ შეთანხმებამ განსაზღვრა ხაზები საფრანგეთის და ბელგიის სამხედრო თანამშრომლობისა იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია არაპროვოცირებულ გამოსვლას მოახდენს მათ წინააღმდეგ.

1925 წელს ლოკარნოში დაიდო ხელშეკრულება, რომელიც 1920 წლის ხელშეკრულებაზე უფრო სრული და ზუსტი ფორმით ანხორციელებს გარანტიებს. ეს ხელშეკრულება დადებული იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა პარლამენტმა.

ეს ხელშეკრულება ბელგიის საერთაშორისო სტატუტის ყველაზე არსებითი ნაწილია და იქ ჩამოთვლილი ვალდებულებანი, ერთა ლიგის პაქტთან ერთად, წარმოადგენენ ერთადერთ ქმედ ვალდებულებებს, რომლებიც აკავშირებენ საფრანგეთსა და ბელგიას გარანტიებისა და ურთიერთდახმარების აღმოჩენის დარგში.

თავისთავად იგულისხმება, რომ ორივე მთავრობა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დაინტერესებულია ამ ვალდებულებათა დაცვით.

სამხედრო თვალსაზრისით 1920 წლის შეთანხმება, გარდა საერთო ვალდებულებებისა გენერალური შტაბების თანამშრომლობის შესახებ, განსაკუთრებულ ღონისძიებებს შეიცავს რაინის მარცხენა ნაპირის საერთო ძალღონით ოკუპაციისათვის.

ორივე მთავრობა დაინტერესებულია ამ შეთანხმების დაცვით, და მათ სურთ შეინარჩუნონ გენერალური შტაბების კონტაქტი ლოკარნოს ხელშეკრულების პუნქტების განხორციელების მიზნით. ამგვარ კონტაქტს ხელშეკრულების დამდები არცერთი მხარისათვის არ შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ხასიათის რაიმე განსაკუთრებული ვალდებულებანი ანდა ვალდებულებანი ნაციონალური თავდაცვის საქმეში.

პატივი მაქვს, თქვენო აღმატებულებავ, დაგიდასტუროთ საფრანგეთის მთავრობის თანხმობა.

ვსარგებლობ შემთხვევით, ბ-ნო მინისტრო, კვლავ გამოვთქვა ჩემი დიდი პატივისცემა თქვენდამი.

ხელმოწერა: ლაროში“.

დანართი 2

განკარგულება ბელგიის სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ

განკარგულება ნაციონალური თავდაცვისა და ტერიტორიული სამოქალაქო გვარდიის სამინისტროსა: ნაციონალური თავდაცვის სამინისტრო, ტერიტორიული სამოქალაქო გვარდია. საიდუმლოდ. მე-5 დივიზია ს. ს. პ. ა. პ. № 1889/57 7.37. ც. მ. დამატება: პირველი რუკა ე. მ.

სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია

მუხლი 1. ქალები, ბავშვები, მოხუცნი და ავადმყოფნი იგზავნებიან იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია ტერიტორიული სამოქალაქო გვარდიის მიერ წითელი ჯვრის ადგილობრივი განყოფილების თანხმობით.

მუხლი 2. ევაკუაცია უნდა ტარდებოდეს არმიის მთავარი ბანაკის განსაკუთრებულ მითითებათა ზუსტი შესაბამისობით.

მუხლი 3. არცერთი მნიშვნელოვანი გზა და მისასვლელი გზები, რომლებიც აღნიშნულია რუკებზე და საყოველთაოდ ცნობილია, ევაკუაციისათვის გამოყენებული არ უნდა იქნან.

(4-15 მუხლები შეიცავენ ევაკუაციის ტექნიკურ დეტალებს).

ლუვიედან, შარლეროადან, ნამიურიდან და დინანიდან საფრანგეთის საზღვრისაკენ მიმავალი ყველა გზები, დამოუკიდებლად იმისა, ასფალტირებული არიან ისინი თუ არა, წარმოადგენენ სამხედრო გზებს, თუ ისინი ორმხრივი მიმოსვლის შესაძლებლობას იძლევიან. მხოლოდ ვიწრო გზები რჩებიან ევაკუაციისაგან თავისუფალნი.

3 ივლისი (საკდესი).

ვინ მართავდა ესტონეთს

ტალინი, 3 ივლისი (საკდესი). გუშინ სააქციო საზოგადოება „ლიუტერისა“ და „ილმარინეს“ მუშათა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ნეემე რუუსმა.

„20 წლის განმავლობაში წინანდელ მთავრობათა პოლიტიკა, — განაცხადა მან, — იქით იყო მიმართული, რომ მიეჩქმალათ ყოველივე ის, რაც აღმოსავლეთ საზღვარს იქით ხდებოდა. მოსახლეობაში აღვირახსნილ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევოდნენ. ახშობდნენ თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის ყოველივე ცდას. ხალხს ხმას არ აღებინებდნენ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რა საშუალებებით აღწევდნენ ყოველივე ამას.

მთელი ძალა-უფლება მცირე პლუტოკრატიული ხროვის ხელში იყო. ესტონეთში გაბატონებული იყო უცხოეთის კაპიტალი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ იმ ბანკებსა და სააქციო საზოგადოებებს, რომელნიც უმთავრესად, უცხოეთის კაპიტალის დახმარებით მუშაობდნენ. ამ საწარმოების პატრონებმა ექსპლოატაციის ისეთივე ბარბაროსული მეთოდები შემოიღეს ჩვენში, როგორსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები იყენებენ კოლონიებში. ესტონეთში მალე შეიქმნა საკუთარი, ეგრეთწოდებული ნაციონალური კაპიტალი, რომელსაც სათავეში ედგნენ ბატონი იურიმაა, სუურსეეტი და სხვები. ესტონეთის ბედს 10 თუ 20 მდიდარი ოჯახი განაგებდა.

უწევდნენ თუ არა ეს ვაჟბატონები ანგარიშს სახელმწიფოს ინტერესს? არა. ფაქტიურად მდგომარეობა არ შეცვლილა. ისინი, როგორც სააქციო საზოგადოებათა გამგეობათა წევრები, დიდ ჯამაგირს იღებდნენ, ხელისუფლება კი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ისინი.

მშრომელთა მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესებულა. თუ ლაპარაკი იყო „ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე“, ნამდვილად იგულისხმებოდა 10-20 მდიდარი ოჯახი. იმავე დროს ამ მეტიჩრების ძალაუფლება და მათი რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. სახელმწიფო სტატისტიკური ბიუროს ცნობების მიხედვით, ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი 1 მილიონ ცენტს (100.000 კრონი) აღემატებოდა 1935 წელს 366 უდრიდა, 1936 წელს კი უკვე 511-ს. მარტო ერთი წლის განმავლობაში 145 ახალი მილიონერი მოემატა.

მაგრამ მშრომელი ხალხის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. თუ მუშათა ხელფასი წელიწადში 5-6 პროცენტით გადიდდა, ბატონ კაპიტალისტთა შემოსავალი ამ დროის განმავლობაში 100 და მეტი პროცენტით გადიდდა. ამ ვაჟბატონებმა შვეციაში მამულები გაიჩინეს, ევროპაში — ფაბრიკები, ინგლისის, ჰოლანდიისა და ამერიკის ბანკებში — დანაზოგი. მუშების საარსებო დონე თანდათან კლებულობდა. მატულობდა სიღატაკე და უმუშევრობა. სურდათ მუშები დაემშვიდებინათ სპეციალური შრომის კანონმდებლობით. ნამდვილად კი ეს „კანონმდებლობა“ არა ხორციელდებოდა.

ოფიციალური ცნობები, რაც ჯერ კიდევ წინანდელმა მთავრობამ შეადგინა, გვიჩვენებს, თუ როგორ არღვევდნენ სოციალურ კანონებს ბატონი სამუშაოს მიმცემნი. 1938 წელს შრომის დაცვის კანონი 15.588-ჯერ იქნა დარღვეული. თუ მუშა თამამად გამოდიოდა და ლაპარაკობდა არა წინანდელ მმართველთა სასარგებლოდ, მას ან ასახლებდნენ, ან აჯარიმებდნენ ანდა სამუშაოდან ითხოვდნენ. 1938 წელს მუშებისათვის ხელფასი დაუგვიანებიათ ან არ მიუციათ 3.171-ჯერ. მაშასადამე, სამუშაოს მიმცემნი მუშების ხელფასს ისე ეპყრობოდნენ, როგორც მოესურვებოდათ. სამუშაოს მიმცემთ მუშებისათვის დაუკლიათ ხელფასი 58.596 კრონის რაოდენობით. მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახები კანონები და დადგენილებანი მარტო 1 წლის განმავლობაში 3.075-ჯერ დაურღვევიათ.

სამუშაოს მიმცემნი ამ კანონებს იმიტომ არღვევდნენ, რომ ხალხს არ შეეძლო სათანადო კონტროლი განეხორციელებინა.

ძალა-უფლება პლუტოკრატიული ხროვის ხელში იყო. ეს ხროვა მთავრობასთან ერთად სჩაგრავდა და იმონებდა ესტონელ ხალხს.

ახლა თქვენ იცით, რომ ახალი მთავრობა შესდგა. ახალი მთავრობა მტკიცედ და გადაჭრით სწმენდს ესტონეთს იმ სიბილწისაგან, რომელსაც წინანდელი მთავრობა 20 წლის განმავლობაში ნერგავდა. ჩვენ ამისათვის ყველა პირობა მოგვეპოვება. ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების პაქტი. ჩვენ დაცული ვართ გარეშე მტრებისაგან. საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა უზრუნველჰყოფს ჩვენი საზღვრების უშიშროებას. ეს გარემოება განსაზღვრულ ვალდებულებას გვაკისრებს. ჩვენ თვითონ უნდა ვაშენოთ ჩვენი საშინაო ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება.

ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ, რომ ამას ჩვენთვის სხვები გააკეთებენ. ეს მუშაობა უკვე დაიწყო. ახალი მთავრობის დეკლარაციას თქვენ იცნობთ, და მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამჟამად ყველა სამინისტრო გაფაციცებით მუშაობს, რათა რაც შეიძლება მალე გააუმჯობესოს ესტონეთის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა“.

ესტონეთის განათლების მინისტრის განცხადება

ტალინი, 4 ივლისი (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ესტონეთის განათლების მინისტრმა ი. სემპერმა განაცხადა, რომ აქამდე მოსწავლეთა 40 პროცენტი, მატერიალური ხელმოკლეობის გამო, დაწყებითი სკოლასაც კი ვერ ამთავრებდა. ხელმოკლე მოსწავლეთ სრულიად უმნიშვნელო დახმარებას უწევდნენ და ამ დახმარებასაც ყოველწლიურად ამცირებდნენ. თუ 1930 წელს ამ მიზნებისათვის დაიხარჯა 290.000 კრონი, 1939 წ. ეს თანხა 70.000 კრონამდე შემცირდა, თუმცა ხელმოკლე მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა. „ჩვენი მინიმალური მოთხოვნა, — განაცხადა შემდეგ სემპერმა, — უნდა იყოს საყოველთაო ხუთკლასიანი განათლება. წინათ უნივერსიტეტში მხოლოდ რჩეულნი თუ მოხვდებოდნენ. სამინისტრო გადაჭრით გარდაქმნის უნივერსიტეტის მუშაობას ისე, რომ უნივერსიტეტი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის“.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 4 ივლისი (საკდესი). უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება:

„გერმანიის წყალქვეშა ნავმა ლეიტენანტ ენდრაშის სარდლობით ნაღმი ესროლა ბრიტანეთის ავიამზიდ „ილასტრიეზს“, რომელიც ბრიტანეთის ფლოტის ერთერთ უახლეს გემს წარმოადგენს. 3 ივლისს გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავების შენაერთებმა, რომლებიც ლა-მანშისა და ჩრდილოეთის ზღვის რაიონში მოქმედებენ ყუმბარა დაუშინეს ინგლისის სანავსადგურო ნაგებობებს, სანაპირო სიმაგრეებს, აეროდრომებს, ბანაკებსა და სამხედრო მრეწველობის საწარმოებს. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს რიდინგის საავიაციო ქარხანას და ნიუგევნის მახლობლად განლაგებულ მძიმე სანაპირო ბატარიებს. ლა-მანშის სრუტეში ბრიტანეთის გემების ქარავანზე თავდასხმის დროს ერთი დიდი გემი დაზიანებულ იქნა ორი მძიმე ყუმბარით. ინგლისის თვითმფრინავებმა, ისარგებლეს რა მოღრუბლულობით, გუშინ ყუმბარები ჩამოჰყარეს ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ რაიონში. სამოქალაქო მოსახლეობაში არის მსხვერპლი. 3 ივლისს, ღამით, მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიას გადაუარა, მაგრამ მათ არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ. ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 4 თვითმფრინავი“.

ინგლისელების მიერ გერმანიის ქალაქების ბომბარდირება

ბერლინი, 4 ივლისი (საკდესი). როგორც ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს, ინგლისის თვითმფრინავებმა მთელი რიგი თავდასხმები მოახდინეს რურის ოლქზე. ერთერთ ქალაქში ჩამოყრილმა ყუმბარებმა დააზიანეს და დაანგრიეს 10 სახლი. მეორე ადგილას დანგრეულ იქნა შვეციის საკონსულოს შენობა.

ბიულეტენი იუწყება, რომ ამას წინათ ინგლისის თვითმფრინავებმა ღამით გერმანიის ოლქებში ჩამოჰყარეს დაახლოებით 400 მსხვრევადი და ცეცხლგამჩენი ყუმბარა.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 4 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „კირენაიკის საზღვარზე ჩვენმა ჯარმა უკუაქცია მოწინააღმდეგის ჯავშნიანი ნაწილები და მიაღწია მუსაიდს სოლუმის რაიონში. ამავე დროს ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მოწინააღმდეგის ჯარის მექანიზებულ კოლონებს.

სამხრეთით ინგლისელებმა კვლავ მიიტანეს იერიში კაპუცოს სიმაგრეზე, მაგრამ ეს იერიში სავსებით იქნა მოგერიებული. ერთერთი ჩვენი წყალქვეშა ნავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ჯარმა დაიკავა ინგლისის სიმაგრე მოიალე და, მოწინააღმდეგის ავიაციის თავდასხმის მიუხედავად, შეინარჩუნა იგი.

სუდანის საზღვარზე ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებს აკობოსა და გალაბატში. მოწინააღმდეგემ ჰაერიდან მოიტანა იერიში ასაბზე (ერიტრეა) და უმნიშვნელო ზიანი მოგვაყენა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: „ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა 1 ივლისს აეროდრომებს გონდარეში და ასოსაში (აბისინია). განადგურებულია ერთი და სერიოზულად დაზიანებულია ხუთი თვითმფრინავი. ცეცხლი გაუჩნდა აეროდრომის ზოგიერთ შენობას.

ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე სიცილიას, სადაც მათ წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ნავთგამწმენდ საწარმოებს და ნავთსაცავებს აუგუსტაში.

გუშინ ჩვენი ყუმბარმშენები თავს დაესხნენ მაკაკას (ერიტრეა). ადგილობრივ აეროდრომს ყუმბარა დაუშინეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს. საომარი მასალის საწყობს და ორ ნავთსაცავს ცეცხლი გაუჩნდა. ოპერაციის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ორი გამანადგურებელი, ხოლო მესამე განადგურებულ იქნა აეროდრომზე. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა“.

ლონდონი, 4 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: „2 ივლისს ჩვენმა ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარები იტალიის თავდაცვით პუნქტებს მოიალეს რაიონში (კენია). გარდა ამისა, ტყვიამფრქვევები დავუშინეთ იტალიის დამხმარე ძალებს, რომლებიც ხეობებში იყვნენ მიმალულნი. მოხდა საომარი მასალის საწყობის ძლიერი აფეთქება.

იტალიის პუნქტ მაკაკაზე (ერიტრეა) გუშინდელი თავდასხმის დროს, გარდა წინათ მოხსენებულისა, მოსპობილ იქნა იტალიის კიდევ სამი თვითმფრინავი“.

სამი კვირის ომის განმავლობაში, — დასძენს სააგენტო, — იტალიის იმ თვითმფრინავთა საერთო რიცხვმა, რომლებიც მოსპობილ იქნა ახლო აღმოსავლეთში, 60-ს მიაღწია.

არიტას განცხადება გერმანიის ელჩისადმი

რომი, 4 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო ტოკიოდან იუწყება: „მინისტრმა არიტამ მიიწვია გერმანიის ელჩი ოტო და აცნობა მას, რომ 15 ივლისიდან ყველა საკითხზე, რომელიც კი ბელგიისა და ჰოლანდიას ეხება, იაპონია მოლაპარაკებას უშუალოდ გერმანიასთან გაჰმართავს“.

ნოქსის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სენატის საზღვაო საქმეთა კომისიამ 9 ხმის უმრავლესობით 5 ხმის წინააღმდეგ მოიწონა ნოქსის დანიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრად. უპასუხა რა კომისიის იმ წევრ-იზოლაციონისტების კითხვებზე, რომლებიც მას ბრალად სდებდნენ, რომ იგი ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმის მომხრეა, ნოქსმა განაცხადა: ინგლისისა და საფრანგეთისათვის დახმარების აღმოჩენის მომხრე ვარ, მაგრამ ომში ამერიკის ჩაბმის წინააღმდეგი ვარო.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის გამწვავება

საფრანგეთის გემების წინააღმდეგ ინგლისის ფლოტის იერიში

რომი, 4 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის მთავრობამ კლერმონ-ფერანში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ „3 ივლისს, დილით, ინგლისის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, რომლებიც სამი სახაზო გემისაგან შესდგებოდნენ და რომლებიც ჩრდილოეთის ზღვიდან მოვიდნენ. მერსელ კებირის ყურეში გამოჩნდნენ, მერსელ კებირი ორანის საზღვაო ბაზას წარმოადგენს, სადაც დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმების შესაბამისად იმყოფება საფრანგეთის ფლოტის ზოგიერთი გემი, სახელდობრ, სახაზო გემი „დიუნკერკი“ და „სტრასბურგი“. ეს გემები რეიდზე დგანან. ინგლისის ადმირალმა წინადადება მისცა ესკადრის სარდალს, საფრანგეთის ვიცე-ადმირალს ჟანსულს დანებებულიყო ან ჩაეძირა საფრანგეთის გემები. ინგლისის ადმირალმა ექვსი საათი მისცა მას პასუხისათვის. მაგრამ ინგლისის სამხედრო ჰიდროთვითმფრინავებმა ამ ვადის გასვლას არ დაუცადეს, და მაგნიტურ ნაღმებით დანაღმეს მერსელ კებირის რეიდი. რადგან საფრანგეთის ადმირალმა უარი განაცხადა დამორჩილებაზე, ინგლისის ფლოტმა 17 საათსა და 40 წუთზე სროლა აუტეხა საფრანგეთის სამხედრო გემებს“.

საფრანგეთის მთავრობამ, — იუწყება სააგენტო, — უბრძანა საზღვაო ფლოტის ნაწილებს, რომლებიც ინგლისის გემების მახლობლად დგანან ალექსანდრიის ნავსადგურში, დაუყოვნებლივ აუშვან ღუზა და, თუ საჭირო იქნება, ძალა იხმარონ. ამას გარდა საფრანგეთის საამირბარომ უბრძანა საფრანგეთის ყველა სამხედრო გემს, რომლებიც გაშლილ ზღვაში იმყოფებიან, არ უპასუხონ სროლით ახალ იერიშებს.

ვიცე-ადმირალ მიუსელიეს განცხადება

ლონდონი, 4 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „გენერალ დე გოლის მიერ საფრანგეთის თავისუფალი სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლად დანიშნულმა ვიცე-ადმირალმა მიუსელიემ განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო ფლოტის არცერთი სახაზო გემი არ ჩავარდნია ხელში არც გერმანელებს და არც იტალიელებს. შემდეგ მან განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო გემების ერთი ჯგუფი გამოეხმაურა გენერალ დე გოლის მოწოდებას. საფრანგეთის ზოგიერთი წყალქვეშა ნავიც ინგლისის წყლებში იმყოფება. მალე დამთავრდება საფრანგეთის რამდენიმე სამხედრო გემის მშენებლობა, — განაცხადა მიუსელიემ, — ეს გემები აღებულია საფრანგეთის გემსაშენებიდან და გადაყვანილია ბუქსირით საიმედო ადგილას ამ გემსაშენების მუშების თანხლებით. საფრანგეთის განიარაღებული სხვა გემები ინგლისის ნავსადგურებში იმყოფებიან და ამ გემებზე საფრანგეთის ბაირაღებია. მიუსელიემ აღნიშნა, რომ, თავისი ძალებისა და შესაძლებლობის გვარად, იგი ინგლისელებთან ერთად იმოქმედებს. მან აგრეთვე განაცხადა: საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის განთავისუფლებული ნაწილიც ჩემს განკარგულებაში იქნებაო. ფული, რომელიც მიღებული იქნება ჩემს განკარგულებაში მყოფ საფრანგეთის სავაჭრო გემების ექსპლოატაციით, აგრეთვე ტვირთის მარაგი, რომელიც ხელთ ვიგდეთ დიდ გემებზე, — სთქვა დასასრულ მიუსელიემ, — შესაძლებლობას მოგვცემს საკმაო თანხები ვიქონიოთ, რათა დიდი ხნით უზრუნველვყოთ ჩვენი ძალებიო“.

დაძაბული ურთიერთობა რუმინეთსა და უნგრეთს შორის

ბუდაპეშტი, 4 ივლისი (საკდესი). დაძაბულობა რუმინეთ-უნგრეთის ურთიერთობაში არა ნელდება. უნგრეთის პრესა ბრალად სდებს რუმინეთს ტენდენციური ხმების გავრცელებას, ცილისწამების გავრცელების ცდას და სხვ. გაზეთი „პესტერ ლოიდი“ აკრიტიკებს ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებს იმ შეტაკებათა შესახებ, რომელიც მოხდა 1 და 2 ივლისს უნგრეთ-რუმინეთის საზღვარზე. ამ ცნობების თანახმად, უნგრელები რუმინეთის საზღვარს გადავიდნენ, ტყვიამფრქვევებს ესროდნენ და გრანატებს უშენდნენ რუმინეთის საგუშაგოს. იუწყებოდნენ აგრეთვე რომ მოკლული და დაჭრილია მრავალი უნგრელი, ხოლო რუმინელებს უმნიშვნელო ზარალი მოუვიდათო. უარჰყოფს რა ამ ცნობების სიმართლეს, „პესტერ ლოიდი“ აცხადებს, რომ რუმინეთის საზღვრისპირა პატრულებს ამ უკანასკნელ დღეებში სრულიად უმიზეზოდ არაერთხელ აუტეხიათ სროლა უნგრეთის საზღვრისპირა საგუშაგოებისა და კერძო პირებისათვის. გამორკვეულია, — სწერს გაზეთი, — რომ ყველა შემთხვევაში პირველნი ისროდნენ რუმინელი მესაზღვრენი.

შექმნილ მდგომარეობას გაცხოველებით იხილავენ ბუდაპეშტის უცხოელ კორესპონდენტთა წრეებში. ამ წრეებში ამბობენ — ბუდაპეშტსა და ბუქარესტს შორის ტრანსილვანიის საკითხზე მოლაპარაკება დაიწყოო.

მასობრივი დაპატიმრება ინდოეთში

ქაბული, 4 ივლისი (საკდესი). ინდოეთის გაზეთი „ტრიბიუნი“ 28 ივნისის ნომერში იუწყება, რომ ლაგორში, ამრიტსარსა და პენჯაბის პროვინციის სხვა ქალაქებში დააპატიმრეს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მრავალი მოღვაწე. მარტო ლაგორში დაპატიმრებულია 30-ზე მეტი კაცი, მათ შორის პროვინციული საკანონმდებლო კრების ხუთი წევრი.

ლიტვის შრომის სამინისტროს მოწოდება

კაუნასი, 4 ივლისი (საკდესი). ლიტვის შრომის მინისტრმა გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისადმი, სადაც ნათქვამია: „სახელმწიფო ძალა-უფლება არასოდეს აღარ დაუბრუნდება რეაქციას და ექსპლოატატორებს. მაგრამ, თუ არ იქნა მუშათა ორგანიზებულობა, დისციპლინა და ერთიანობა, შეუძლებელია გამარჯვების მოპოვება და ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა“.

მიმართვა მოუწოდებს მუშებს ნაყოფიერად იმუშაონ.

„ბევრი რამ უნდა შეიცვალოს შრომის პირობებში. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირებმა. მეფაბრიკეთა და მდიდართა ზედმეტი მოგება შეზღუდული იქნება, სახელმწიფო აპარატის შესანახი ზედმეტი ხარჯები ლიკვიდირებული იქნება. მთელი ეს სახსრები, პირველ ყოვლისა, მოხმარდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ახალი მუშაკებისათვის მუდმივი სამუშაოს მიცემას, ახალი ფაბრიკების შექმნას, მუშათა ბინების აგებას, სახალხო განათლებას და სახალხო ჯანმრთელობის დაცვას.

ამხანაგო მუშებო! დაიცავით დისციპლინა და ებრძოლეთ პროვოკატორებს, რომელნიც ცდილობენ დაარღვიონ ლიტვის მუშათა მასების ერთიანობა. პროფკავშირთა მუშაობა იმგვარად მოაწყვეთ, რომ პროფკავშირები მშრომელთა ინტერესების დაცვისა და საწარმოებში საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ნამდვილ ორგანოებად გადაიქცნენ“.



სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ანასტასია ნათიშვილის სადიპლომო შრომა — შოლოხოვის „გატეხილი ყამირის“ ილუსტრაცია. ფოტორეპროდუქცია **რ. აკოფოვისა**

„დაგვიანებული სასიძო“

თბილისის კინოსტუდიის გამოშვება

წელს მოსკოვში კინოს სახლში შესდგა 5 ახალი კინო-კომედიის, მათ შორის თბილისის კინოსტუდიის ნაწარმოების „დაგვიანებული სასიძოს“ საჯარო განხილვა. კამათში, როგორც ილ. ტრაუბერგი სწერს გაზეთ „კინოში“, გამოვიდა ახალგაზრდა უზბეკი და მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა უზბეკურ ენაზე. უცბად უზბეკმა შესწყვიტა სიტყვა და იკითხა — გაიგო თუ არა ვინმემ მისი ნათქვამი. აუდიტორია ერთხმად გამოტყდა — უზბეკური ენა არ ვიცით, ვერაფერი გავიგეთო. მაშინ ორატორმა დინჯად განაცხადა უკვე რუსულ ენაზე: „სწორედ ასე ვერც მე გავიგე რამე განხილული კომედიური ფილმებისა“. ეს მოსწრებული გამოსვლა ისეთი ჰომერული ხარხარით დააჯილდოეს, როგორიც არცერთი განსინჯულ კინოკომედიას არ ღირსებია.

აღნიშნული 5 კომედიიდან თბილისში უკვე ვნახეთ ორი: „არინკა“ და „დაგვიანებული სასიძო“. არცერთი არ არის დამაკმაყოფილებელი. მოსკოვის პრესის შეფასება ხუთივე კომედიის მიმართ ერთსულოვანი იყო: კომედიებს აკლიათ ის, რაც იწვევს გულწრფელ სიცილს.

„დაგვიანებული სასიძო“ გამონაკლისს არ შეადგენს ამ ხუთი კომედიიდან. მართლაც რას წარმოადგენს ეს ფილმი? უცქერით სურათს, კადრები კადრებს მისდევს და რაც უფრო ახლოვდება ფინალი, მით უფრო იზრდება უკმაყოფილების გრძნობა. ხედავთ როგორ ემალებიან ფილმის ავტორები სასაცილოს, როგორ ავსებენ ფილმს ნატურალისტური კადრებით.

რატომ ეწოდება ამ ფილმს „დაგვიანებული სასიძო“? სანდრო ახალგაზრდაა, გადაბერებული არ არის, რომ სასიძოდ არ ვარგოდეს, „დაგვიანებული“ იყოს. იქნებ დააგვიანდა სიყვარულის გამოცხადება და საცოლე გაუთხოვდა? არც ეს არის. მაშ რაშია საქმე? იმ უზბეკი ყმაწვილისა არ იყოს, გაუგებარია.

ფილმში ბევრი „ტრიუკია“. მაგრამ რა გულუბრყვილო, ბავშვური, ხშირად დაუჯერებელი და, რაც მთავარია, სიუჟეტის განვითარებისაგან მოწყვეტილია ეს ტრიუკები. აი ნიმუში: ეზოში გაფინეს გასაშრობად ნოხი, სასიძო ნოხთან დგას. მეორე მხრით სახლიდან მისი საცოლე გამოვიდა კეტით. მაყურებელმა იცის რა მოხდება. ქალი კეტს შემოჰკრავს ნოხს და მოხვდება სასიძოსაც. მართლაც ასე ხდება. შემოჰკრა ქალმა კეტი ნოხს. სასიძოს ეტკინა, მაგრამ არ გაიქცა, არ გამოარკვია მიზეზი, მეორე თავისკენ გაიწია, იქაც დრუზეს, ისევ ძველ ადგილს დაბრუნდა. და ასე კარგა ხანს სცემა ქალმა კაცს. ბოლოს სასიძომ შეხედა ვინც სცემდა და ჩუმად გაიპარა. რას ჰმატებს ეს კადრი ფილმს, ანდა სასიძო-საცოლის დამოკიდებულებას? ამოსჭერით ეს კადრი ფილმიდან და მაყურებელი ვერც კი მიხვდება, რომ აქ როდესღაც ნოხს მტვერი ადინეს.

მეორე მაგალითი: სანდრო—ველოსიპედზე ცუდად ზის, დაამტვრია. წავიდა ახლის საყიდლად. მაღაზიაში მოტოციკლი მოეწონა. იყიდა, შეჯდა და გააქანა. როდის ისწავლა მოტოციკლის წაყვანა? ეს ისეთივე ყურით მოთრეული ამბავია, როგორც ნიკოს მიერ აივნიდან გოგრების ძალად გადმოყრა, რაც სრულიად არ არის სასაცილო.

მთავარი გმირი სანდრო არარეალურია, დაუჯერებელი, გაორებული. როცა სხვები მუშაობენ, იგი ან ბანაობს, ან ველოსიპედს ამტვრევს. მოწინავე კოლმეურნედ კი ითვლება. ხან მარჯვეა (ფეხბურთში), ხან გაუბედავი (სიყვარულის ახსნაში).

ფილმში უხვად არის ნაჩვენები ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მდიდარი, ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ ეს გაკეთებულია აღწერილობის მეთოდით.

„დაგვიანებული სასიძოს“, როგორც კომედიის სისუსტე მარტო სცენარისტების, რეჟისორისა და მსახიობების ბრალი არ არის. კოტე მიქაბერიძე იზიარებს სხვა გამოჩენილ რეჟისორთა (ევგ. ჩირიაკოვი, ი. ტარიჩი და სხვები) ბედს. კინო-კომედიის პრობლემა საერთოდ მწვავედ დგას ჩვენი კინოდრამატურგიისა და კინოოსტატთა წინაშე. მათ უნდა შესძლონ გადაბიჯონ ნატურალისტური კინოკომედიის ჟანრს, რომელშიაც ყველაფერი აღრეულია. მთავარია სიცილის, მხიარულების ხალისი. ეს კი არ უნდა იყოს აგებული გაშიშვლებულ, უაზრო ტრიუკებზე. ჩვენ გვინდა მდგომარეობათა კომედია.

„დაგვიანებული სასიძოს“ მაგალითმა უნდა დააფიქროს თბილისის კინოსტუდიის შემოქმედებითი მუშაკები, რომ მათ ახალ ნამუშევრებში („ჩინებული ახალგაზრდა“ და სხვები) თავიდან აცილებულ იქნას აღნიშნული ნაკლოვანებანი.

გრ. ნუცუბიძე.

პოეტი გ. ჭალადიდელის ნეშტის გადმოსვენება

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციების გადაწყვეტილებით 7 ივლისს მოხდება პოეტი გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძის ნეშტის გადმოსვენება სოფელ ჭალადიდიდან ქალ. ცხაკაიაში.

გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძე (მწერლობაში ცნობილი ჭალადიდელის ფსევდონიმით) დაიბადა 1847 წელს სოფელ ფერსათში, იმერეთში (სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ დროებით) და გარდაიცვალა 1898 წელს ქალაქ მინსკში. თანახმად პოეტის ანდერძისა, ის დასაფლავებულ იქნა თავისივე სოფელში—ჭალადიდში (ცხაკაიას რაიონი).

ჭალადიდელის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით ცხაკაიას თეატრში 6 ივლისს მოეწყობა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან მწერლები ლ. ასათიანი და კ. კალაძე. მოხსენებას გ. ჭალადიდელის შესახებ გააკეთებს ლ. ასათიანი.

7 ივლისს პოეტ ჭალადიდელის ნეშტი სოფ. ჭალადიდიდან გადმოსვენებულ და დაკრძალული იქნება ცხაკაიას ქალაქის ბაღში, სადაც დაიდგმება პოეტის დიდი ბიუსტი.

ვ. კალანდარიშვილი

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

6 ივლისს, საღამოს 9 საათზე, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სახლის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) საქ. საბჭოთა მწერლების სომხური სექცია აწყობს ლიტერატურულ საღამოს დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

თემაზე „აკაკი წერეთელი და სომხური კულტურა“ მოხსენებით გამოვა პროფ. მელიქსეთ-ბეგი.

აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. სურენ ავჩიანი.

სიტყვებით გამოვლენ მწერლები: წ. თორგომიანი, გ. გრიგი, რ. ალაბაბიანი და კ. აზროიანი.

აკაკი წერეთლის ლექსების სომხურ თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: ა. თუმანიანი, ვ. სიმონიანი, შ. ნავთლუღელი, ს. ავჩიანი და ა. ჯულჰაკი.

სასამართლო

სამუშაო დღეების გამცდენი

27 და 28 ივნისს სამუშაოზე არ გამოცხადდა საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მომარაგების განყოფილების პასუხისმგებელი შემსრულებელი ვლადიმერ კლიმენტის-ძე ერისთავი, რომელიც ადმინისტრაციის დაუკითხავად ორი დღით წავიდა ავადმყოფის სანახავად.

საგამომძიებლო ორგანომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად ვ. კ. ერისთავი, როგორც შრომის დისციპლინის დამრღვევი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

4 ივლისს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შენობაში, მუშა-მოსამსახურეთა თანდასწრებით, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ბ. ხიზანიშვილის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, რაიონის პროკურორის ამხ. დ. ჯიბლაძის მონაწილეობით. საჩვენებელი პროცესით გაარჩია სამუშაო დღეების გამცდენის ვ. კ. ერისთავის საქმე.

სასამართლოს დადგენილებით ვლადიმერ კლიმენტის-ძე ერისთავს მიესაჯა იძულებითი მუშაობა სამი თვით, ადგილზე სამუშაოდ დატოვებით, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით.

მ. სურგულაძე.

მწერალთა კავშირში

8 ივლისს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექცია მწერალთა კლუბში იწვევს მცირე ფორმის დრამატურგების და საესტრადო ნომრების ავტორთა თათბირს. დღის წესრიგშია საესტრადო რეპერტუარის საკითხები.

შესვლა თავისუფალია.

დღეს სტადიონზე

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდი უკვე დაბრუნდა მოსკოვიდან და მორიგ მატჩებს სსრ კავშირის პირველობაზე თბილისში ჩაატარებს.

დღეს თბილისის **ლ. ბერიას** სახელობის სტადიონზე „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი შეხვდება სტალინგრადის „ტრაქტორს“. ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს. მატჩი დიდ ინტერესს იწვევს.

დასაწყისი საღ. **6** საათზე და 30 წუთზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3070742, გაცემული აბიბო მიზარბეგის-ძე **ბუაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მარჯანიშვილის** სახელობის — „ანრი სეარ“ (უკანასკნელად), **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — ძველი რომანსების და ხალხური სიმღერების შემსრულებლის ვადიმ კოზინის უკანასკნელი საღამო, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — აჭარის გუნდის გასტროლები ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „გადასვლა“, **ოქტომბერი** — „მეგობრები“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „გადასვლა“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „გადასვლა“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ჩვენი კოლმეურნეობის ხალხი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ყუბანელები“, **ლუქსემბურგის** სახ. — „უშიშარნი“, **სპარტაკი** — „მშვენიერი ვასილისა“, **26 კომ.** სახ. (ზაფხულის) — „ამანგელდი“, **26 კომ.** სახ. (ზამთრის) — „აზამატ“, **კომინტერნი** — „კონცერტი ეკრანზე“, **ორჯონიკიძის** პარკი — „ზელა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

7 ივლისს — **სეზონის დახურვა**

უშ. ჩხეიძე (რესპ. სახ. არტ.)

გიორგი სააკაძე

ტრაგედია 4 მოქმ. 10 სურათი.

დადგმა—ვ. ყუშიტაშვილისა, დეკორატ. გაფორმ. მხატ. ს. ქობულაძისა, ტანსაცმელი მხატ. დ. ძნელაძისა, მუსიკა კ. მეღვინეთ-უხუცესისა.

მატერიალური კულტურისა და მხატვრული გაფორმების კონსულტანტი პროფ. შ. ამირანაშვილი.

დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 10 საათ. საღამოს 10 საათამდე.

2—1 100

საქართველოს სსრ ფინსახკომი

აჭარის ასსრ ბათუმის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი ქალაქ ბათუმში

აცხადებს საშემოდგომო მიღებას პირველ კურსზე.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს: ბიუჯეტის ინსპექტორებს, სახშემოსავლის ინსპექტორებს, საგადასახადო ინსპექტორებს, ბიუჯეტის ბუღალტრებსა და სხვ. ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებით.

ტექნიკუმის კურსდამთავრებული ფრიადოსნები უგამოცდოდ მიიღებიან უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე და საფ.-ეკ. ინსტიტუტში.

ტექნიკუმში მიიღებიან ყველა ახალგაზრდა ქალები და ვაჟები 15 წლიდან 25 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი) და რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს. მსურველებს, რომელთაც სურთ საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმში შესვლა, შემოაქვთ პირადად ან ფოსტით განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) არასრული საშუალო (შვიდწლედი) სკოლის დამთავრების ატესტატი, ბ) დაბადების მოწმობა, გ) პასპორტი (ადგენს პირადად), დ) ჯანმრთელობის მოწმობა, ე) ფოტოსურათი 3 ცალად, ვ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

შენიშვნა: აღნიშნული საბუთები უნდა წარმოდგენილ იქნას დედნის სახით· ასლები არ მიიღება.

განცხადების მიღება სწარმოებს 20 ივნისიდან 15 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 19 აგვისტოდან 31 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენა, მათემატიკა (წერა და ზეპირი), კონსტიტუცია და გეოგრაფია. გამოცდები იწარმოებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამების ფარგლებში.

ტექნიკუმის 1-ლ კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ის პირები, რომელთაც მიმდინარე წელს ჩააბარეს გამოცდა ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ რომელნიც ვერ იქნენ მიღებულნი ადგილის უქონლობის გამო. ბ) ის პირები, რომელთაც 1939 წ. დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა და ყველა ძირითად საგანში მიიღეს ნიშანი „ფრიადი“, ხოლო დანარჩენ საგანში აქვთ ნიშანი არანაკლებ „კარგისა“.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმში ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მისამართი: ქ. ბათუმი, ორჯონიკიძის ქ. № 44.

578 **ბათუმის საფ.-ეკონომიური ტექნიკუმის დირექცია.**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორის პლატო)

6—7 ივლისს **სეირნობა** 6—7 ივლისს

6 ივლისს ესტრადაზე კონცერტი

მონაწილეობენ: სალარაძე-ჯაფარიძე (ორდენოსნები), ე. სიბილა, მარჩინსკაია, მ. ლორთქიფანიძე, ძაგნიძე-ჩხიკვაძე, გორსკი-ნადარეიშვილი.

კონფერანსიე—პ. კობახიძე (რესპ. დამს. არტ.)

7 ივლისს კონცერტი

მონაწილეობენ: **ვასო გოძიაშვილი** (რესპ. დამს. არტისტი) ე. გედალინა, პ. დოლჟანოვი, ვ. კაჭკაჭიშვილი

მეჩონგურეთა ანსამბლი

ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

საცეკვაო მოედანზე **ცეკვები.** უკრავს **ჯაზ-ორკესტრი. საჯარო ატრაქციონი 2 ცენიტო 2**

ავტობუსის რეგულარული მოძრაობა ბერიას სახელობის მოედნიდან ფუნიკულორის პლატომდე

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი

პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი

6 ივლისს ძველი რომანსების და ხალხური სიმღერების შემსრულებლის **ვადიმ კოზინის** უკანასკნელი საღამო.

დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღამოს სრულ 9 ს. 30 წ.

7, 8 და 9 ივლისს

ლენინგრადის ჯაზ-ანსამბლის გასტროლები

შულჟენკოს და კორალის ხელმძღვანელობით

დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

დახურული თეატრი

7, 8, 9 ივლისს

ბოშური რომანსების და საბანაკო სიმღერების შემსრულებლის

ე. რაგზინას გასტროლები.

დასაწყისი საღ. 10 საათზე

დაწვრილებით აფიშებში.

ყოველდღე ბაღში უკრავს სიმებიანი ორკესტრი **ბახმანის** ხელმძღვანელობით.

ბილეთები წინასწარ იყიდება სალაროში დღის 11-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე.

იოსებ ბერძენიშვილი შვილებით, დედით ბარბალეთი, მამით დავითით, ძმით გოგიათი მწუხარებით იუწყება მეუღლის

ეკატერინე (კატუშა) არშაკის-ასულ ბერძენიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII საღ. 8 ს. საბჭოს ქ. № 153.

მეუღლე ნიკოლოზ მშობლებით ვასილით და დარიათი, ბიძები ალექსი, ვლადიმერ ცოლშვილით ავსაჯანიშვილები იუწყებიან, რომ 7/VII 4 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია

მარგო ავსაჯანიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 7013

ვანო მთვრალაშვილი ოჯახით, ნინო და ლავრენტი ლაფანაშვილები მწუხარებით იუწყებიან

ეკატერინე (კატუშა) არშაკის-ასულ ბერძენიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ტასიკო, სოლომონ ფარეშიშვილები, მული ნინო ქმრით სტეფანე ათაბეგით იუწყებიან

ვარა თეოფილეს-ასულ ტაბატაძე-ფარეშიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII 7 ს. I საავადმყოფოში, გამოსვენება 7/VII 2 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 7028

აღმზრდელი მამიდა მატრონა, ბიძა ხარიტონ ყენია შვილით დათიკოთი და რძლით ელიკოთი იუწყებიან

მიშა ფხაკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ფარცხაჯანეთში 7/VII. 7024

არტ. „გრუზპრომტეკის“ მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის ნ. ფ. ხორასანოვის მეუღლის

სირან ამბარცუმის-ასულ ხორასანოვა-რაფაელოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VII 6 ს. საბჭოს, 96, კუკიის სასაფლაოზე. 7014

შვილი ივლიტა, სიძე ფარნაოზ ფაჩულია შვილებით ნადიათი, ეფროთი, ზინათი, ნინოთი, სამსონით, სიძეებით გ. ხაბურზანიათი, შ. გაბუნიათი, ბ. გრიგოლაიათი, ი. მაილიანით იუწყებიან

ელისაბედ ჯღარკავას

გარდაცვალებას. 7015

ბუდა არჯევანიძე, ნალია და პეტრე ქავთარაძეები იუწყებიან, რომ 7/VII 7 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მეგობრის და ნათესავის

ტატიანა ბესარიონის-ასულ ზაქარაიას

სამოქალაქო პანაშვიდი. 7016

ბაბუა ბასა ვაჩეიშვილი, დეიდები აგრაფინა, ნინო, ქსენია, ალექსანდრა, ლიდა, ბიძები იასონ მანაგაძე, ვანიჩკა დარციმელია, ბიქტორ კვიტაიშვილი შვილებით იუწყებიან

ჯემალი ნიკოლოზის-ძე ფანცულაიას

გარდაცვალებას. 7017

ქმარი სამსონ, მაზლი სიმონ, რძლები მარუსა, მელანია, აპოლონ, ცოლშვილით თამარ ქმრით სირაძეები, ქრისტინე, ლებანიძე იუწყებიან

მაშო სირაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII 7 ს. გამოსვენება 7/VII 5 ს. შრომის შესახვევი, 22. 7027

ბებია სალომე, მშობლები მელიტონ, ქინა, დები ჟენია, ნინო, ნათელა, ეთერ, სიძე ს. მარღანია იუწყებიან

მარა შენგელაია-გლიუმის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/VII ქ. სოხუმში. 269

„გზარემმშენის“ თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ ალექსანდრე სოლომონის-ძე ფარეშიშვილის მეუღლის

ბარბალე თეოფილეს-ასულ ტაბატაძის

გარდაცვალებას. 7000

მეუღლე ბესარიონ ნოეს-ძე ჩიგოგიძე, ქეთევან, ევგენია ჩიგოგიძეები, ნინო, გრიგოლ ფხაკაძეები იუწყებიან, რომ 7/VII 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ელპიდა ლეონტის-ასულ იაკობაშვილი-ჩიგოგიძის

სამოქ. პანაშვიდი. 7004

დედა ცაცუ ანტონის-ასული გაბუნია შვილით შალვათი, რძლით სუსანათი და პატარა ლიზიკოთი იუწყება, რომ 7/VII 7 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ტატიანა ბესარიონის-ასულ ზაქარაიას

სამოქალაქო პანაშვიდი. 7007

შვილები თინა, აბესალომ, თამარ, რევაზ, დედამთილი ეკა, მაზლები ვასო, დათიკო ულენტები ცოლშვილით იუწყებიან

მარო ულენტის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII 7 ს. საბჭოს, 16. გამოსვენება 7/VII 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 7011

ცოლი ლიზა, შვილი ალექსანდრე, რძალი თამარ, შვილიშვილი ნოდარ ასლანიკაშვილები იუწყებიან, რომ 7/VII 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

თედორე პეტრეს-ძე ასლანიკაშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 7012

შვილები ნიმფა, შალვა, რძალი ელენე, სიძე ვლადიმერ მაჭარაძე, შვილიშვილები ნუცა მაჭარაძე, ოთარ, ნანა, გივი, თენგიზ ქუთათელაძეები იუწყებიან, რომ 7/VII ქ. წულუკიძეში დანიშნულია

მარგალიტა ქუთათელაძის

პანაშვიდი. 7018

მამიდა მაშო შვილებით კატუშათი, ეთერათი, ვერიკოთი, ფასიეიშვილები, შვილიშვილები ნუნუ, შურა სიძეები ნესტორ თევდორაძე, ბორია ვაგინი იუწყებიან

შალვა ყაისარის-ძე მამულაიშვილის

გარდაცვალებას. 7019

თბილისის რკ. გზის № 7 საშ. სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის მიშა მესხიძის შვილის

პატარა ელზას

გარდაცვალებას. 7020

სერგო, ევგენია თავდიშვილები, სიმონ, სალომე, ნინო შავლიაშვილები, სიმონ, სოფიო ჩიკვაიძეები ოჯახებით იუწყებიან

სათენიკა პოღოსოვას

გარდაცვალებას. გამოსვენება არაგვის შესახვევი, 6, 6/VII 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 7021

პირველი ტუბდისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან ამავე დისპანსერის თანამშრომლის ექიმის თანაშემწის

მარგალიტა კახიანი-ნარჩემაიშვილის

გარდაცვალებას. 7022

და ოლინკა, შვილები ნადია, არუსიაკა, ლიუსიკა, სიძეები ა. ფარსადანოვი, ვ. პაპოვი იუწყებიან

ვარინკა აივაზოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII 8 ს. დაკრძალვა 7/VII 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 7026

შვილები გიგა, ჰაიკა, არმენაკ, რძლები ოლია, ანეტა, მარუსა, თამარ იუწყებიან

ვარინკა აივაზოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VII 8 ს. გამოსვენება 7/VII 4 ს. კალინინის, 18. 7026

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84. სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—01 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1462